

140  
81



ISSN 0132 - 5973


ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ  
ՊԱՐԿԱՆԱԿ

# ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ ՊԱՐԿԱՆԱԿ

11  
1981







# მ ო მ ა ვ ე ლ თ ა ო ბ ა ზ ე უ ი ქ რ ი თ ა ღ ა ზ რ უ ნ ვ ი თ

ბავშვები ჩვენი მგობის, ჩვენი ნათელი მომავალია. და ეს მომავალი — საიდანო ხალხი უნდა იყოს, მას მივანდობთ მხოლოდ იმას, ვინც უსაზღვროდ გვჯერა. ასეთ მაღალ ნდობას გაპისრებთ პარტია თქვენც, ჩვენი ნორჩი თათრის კო-ლიტიკურ წინამძღოლებს. ლ. ი. ბრეჟნევი ვართხელ ძალზე უფხვად შევიწინა: „კონკრეტთან მუშაობა რთული, სარულუ-ნო, უაღრესად პასუხსაგები საქმეა, რომელიც მოითხოვს მა-ღალ კვალიფიკაციურ ოსტატობას, ღრმა ცოდნას, დიდსულოვნე-ბას და გულის სიმშრებალს“.

სწორედ ასეთი იზვიანთი სულიერი თვისებები უნდა ჰქონ-დეს მომავალეზული ყოველ კონკრეტულ მუშაოს, რომელსაც ჩვენ სამართლიანად მივიჩნევთ იდეოლოგიური ფრონტის აქტიურ მებრძოლად.

საკაც ცენტრალური კომიტეტის კოლიტბიტროს წევრო-ბის პანდიდატის, საკარტველოს კომპარტიის ცენტ-რალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ

ე. ა. შვიპარდნაძის გამოსვლიდან.

საქართველოს პიონერულ მუშაკთა რეს-პუბლიკურ კრებაზე გამოსული ყოველი მო-ნაწილის სიტყვაში წამოჭრილი იყო პიონე-რული მუშაობის საჭირბოროტო საკითხები. მრწანი კი ერთი გახლდათ: როგორ გავაუმ-ჯობებოთ პიონერული მუშაობა, როგორ გა-ვხადოთ იგი უფრო საინტერესო, უფრო მრავ-ალმხრივი, უფრო საქმიანი. გთავაზობთ კამათში გამოსულთა სიტყვე-ბის რამდენიმე ნაწყვეტს. საკარტველოს სსრ განათლებების მი-ნისტრი პროფესორი ო. შინძელაძე:

ჩვენი უპირველესი ამოცანაა, აღვკვეთოთ ფორმალში სასკოლო კომპაგვირული და პიონერული მუშაობის შეფასებაში, დავძლი-ოთ მზაურიანი მოჩვენებითობის ელემენტები ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში და რეა-ლურად ვიზრუნოთ, რათა მთელი იდეურ-აღმწარდებლობითი მუშაობა უკვე პიონერული ასაკიდანვე ხორციელდებოდეს ცოცხლად და საინტერესოდ, დატამბული ფრანებისა და სტანდარტულად შერჩეული მზა ფორმული-რებების გამოუყენებლად, რამდენადაც თა-ვისებური „დატამბულობის“ სახიანო ტენ-

დენცია, სამწუხაროდ, უკვე პიონერულ რა-ზმებსა და რაზმეულებშიც იკიდებს ფეხს. სოციალისტური შრომის გმირი ნ. ჩე-ლეზაძე: სამამულო ომი მძვინვარებდა უტირდა ქვეყანას, სოფელს, ჩვენს მრავალ-რიცხოვან ოჯახს. რვა და-ძმანი ვიყავით. შრომაში დედას მხარში ვედექით. კოლმე-ურნობის ჩაის პლანტაციებში დიდ-პატარა ერთიანად ვშრომობდით. 13 წლისამ 3800 კილოგრამი ჩაი მოვკრიფე. 14 წლისამ 0,5 ჰექტარი ფართობი გავიპირე და 6000 კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფა ვივალ-









ლების თაობაზე გამოხატულია ლენინის გენიალური აზრები, ისმის მისი დიდი გულის ძვერა. მართლაც, საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებიდან, პირველივე თვეებიდან ჩვენი სამშობლო ყოველივე საუკეთესოს ბავშვებს უძღვნიდა. უჭირდა, მეტად უჭირდა იმხანად ჩვენს სამშობლოს და მაინც, მიუხედავად შიმშილისა, სიცივისა, იმპერიალისტური ომით მოტანილი ტიფიანობისა და ნგრევისა, მიუხედავად შეიარაღებული ინტერვენციისა, ბავშვებზე ზრუნვა, დედათა და ჩვილთა დაცვა საპირველივით სახელმწიფო მოვალეობად იქნა გამოცხადებული. საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ეხსნა მილიონობით მოზარდის სიცოცხლე.

1919 წლის იანვარში ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს ბავშვთა ჯანპრთელობის დაცვის, მათი კვების ორგანიზაციის, ტანისამოსით მომარაგებისა და სამედიცინო დახმარების შესახებ. სახალხო კომისართა საბჭომ, რომელსაც ლენინი მეთაურობდა, დაამტკიცა ბავშვთა დაცვის საგანგებო საბჭო.

ძალზე საინტერესოა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას მოგონებები: „1919 წელს შიმშილობა იყო. და აი, ამ მძიმე უამს მკაფიოდ გამოვლინდა ლენინის ზრუნვა ბავშვებზე. მათს კვებაზე. მათში მომარაგება გაუარესდა. ეკონომიური კომისიის მე-2 სხდომაზე ლენინმა წამოაყენა საკითხი, ნატურით დახმარებოდნენ მუშათა შვილებს. 1919 წლის მაისის შუა რიცხვებში განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობა შეიქნა.

უკრაინაში, კავკასიაში, აღმოსავლეთში პური ბევრი იყო... მაგრამ სამოქალაქო ომი არ იძლეოდა ამ მხარეებთან ურთიერთობის საშუალებას. ცენტრალური სამრეწველო რაიონები უკიდურესად დაიმშენ.

...და სწორედ ამ დროს—17 მაისს— ლენინმა გაატარა დეკრეტი ბავშვთა უფასო კვების თაობაზე. დეკრეტში ნათქვამი იყო, ბავშვთა კვების გაუმჯობესების, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია 14 წლამდე ბავშვებს კვების პროდუქტები უფასოდ მიეცეთ.

„წერილები შორიდან“—ში ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მგზნებარედ, მტკიცედ მოუწოდებდა, რომ ყოველ ბავშვს ჰქონოდა ბოთლი კარგი რძე, და ვერც ერთ მოზარდს მდიდრის ოჯახში ვერ გაეგებდა ზედმეტი რძის აღება, ვიდრე ბავშვები არ იქნებოდნენ უზრუნველყოფილი.

# ახალი ჩვენი ქიმიური ქანსხლეხი

ა. ქონონენკო

ლენინს ბავშვები დიდი, ნამდვილი სიყვარულით უყვარდა. უნდოდა ისინი ჯანმრთელნი, მხიარულნი, განათლებულნი ყოფილიყვნენ, გაზრდილიყვნენ ახალი ქვეყნის მშენებლებად. ნატრობდა, ისეთნაირად მოწყობილიყო ცხოვრება, რომ ბავშვებს ლაღად, უკეთ ეცხოვრათ. ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე მრავალი წლით ადრე ფიქრობდა ის ამაზე.

აი, წინ მიდევს ლენინის ნაშრომი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. მთელი გვერდები მიუძღვნიან ვლადიმერ ილიას ძეს ფაბრიკანტების, ვაჭრების, კულაკების მიერ ექსპლუატირებულ მოზარდთა მძიმე მდგომარეობისადმი.

სხვა შრომებშიც მრავალჯერ წყრობით ლაპარაკობს იგი ბურჟუა-

ზიაზე, რომელიც მკირეწლოვან ბავშვებს ფაბრიკებში ერეკებოდა და იქ მწარედ ტანჯავდა.

ლენინის ნაშრომში „ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი“ ნათქვამია, მუშათა პარტიამ უნდა მოითხოვოს თითხმეტ წლამდე მოზარდის მუშაობის აკრძალვა და მიაღწიოს საყოველთაო, უფასო და სავალდებულო სწავლების შემოღებას.

შემდგომ, როცა რკპ (ბ) პროგრამის პროექტის შექმნის დრო დადგა, ლენინი ამ პროექტის ერთ-ერთ ნაწილში — „პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ამოცანები რუსეთში“ დაეინებით წერდა პარტიის აი, ასეთ ამოცანებზე: „1) უფასო და სავალდებულო საერთო და პოლიტექნიკური სწავლების შემოღება 16 წლამდე ორივე სქესის ყველა ბავშვისათვის. 2) საზოგადოებრივ ნაყოფიერ შრომისთან სწავლის მჭიდრო კავშირის განხორციელება. 3) ყველა მოსწავლის მომარაგება სასწავლო სახელმძღვანელოებით და ხელსაწყოებით სახელმწიფოს ხარჯზე“.

ჩვენი პარტიის ამ პროგრამულ დებულებაში ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის, აღზრდისა და განათ-





ბავშვების რძით უზრუნველყოფაზე ლაპარაკია აგრეთვე ლენინის სტატიაში „შეინარჩუნებენ თუ ვერა ბოლშევიკები ხელისუფლებას?“

ბავშვთა კვება, საბავშვო ბავშვის, ბაღების, ჯანმრთელობის კერების, სკოლების მშენებლობა, — აი, რაზე ზრუნავდა ლენინი მომავალ თაობებზე ფიქრისას. იგი სხვებსაც ასწავლიდა, ზოგჯერ აიძულებდა კიდევ უზრუნავთ მოზარდებზე, მოითხოვდა უმკაცრეს კონტროლს, რათა პურის პირველი ლუქმა, პირველი ჭიქა რძე ბავშვებს რგებოდათ.

ნაშრომში „პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციისაში“, როცა ლენინი ლაპარაკობს პოლიციის შეცვლაზე სახალხო მილიციით და მილიციის ფუნქციებზე, მის უპირველეს ფუნქციად უპატრონო ბავშვებზე ზრუნვას ასახელებს. არაერთხელ მიბრუნებია ვლადიმერ ილიას ძე ამ საკითხს. და ჩვენ ვიცით, რაოდენ დიდი მუშაობა გასწიეს საბჭოთა ქვეყანამ, კომუნისტურმა პარტიამ ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლაში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების უმაღლეს ლენინის მითითებით საუკეთესო აგარაკები, სასახლეები, ცალკეული სახლები საბავშვო დაწესებულებებში დაიკავეს...

დიდ აღამიანს, პარტიის ბელადს, საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელს, უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საქმეებით მოუტლელს, მტრებით გარშემორტყმული ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის ყველაზე საპასუხისმგებლო დღეებში მუდამყამს ახსოვდა ბავშვები, ახსოვდა ყველაფერი, რაც კი ბავშვებს შეეხებოდა. 1919 წლის მაისში დაიწყო ბავშვების გადაყვანა ჩრდილოეთ გუბერნიებიდან სამხრეთში, რათა ზაფხული მათ იქ, მოზარდათა კოლონიებში გაეტარებინათ. ლენინს არც ეს ამბავი გამორჩენია ყურადღებიდან. მან დაწერა წერილი, — სანიტარული მატარებლები, რომლებითაც ბავშვები გადაჰყავთ, შეუფერებლად უნდა ბრუნდებოდნენ უკან, თორემ ვერ მოასწრებენ ყველას გადაყვანასო.

ბავშვებმა იცოდნენ, როგორ ზრუნავდა ლენინი მათზე, გრძობდნენ მისი გულის სითბოს და ხშირად სწერდნენ წერილებს ვლადიმერ ილიას ძეს.

„ჩვენთან, სოფელში, ყველა ჩვენს ილიჩს“ გეძახის. ჩვენც ასე დაგეძახებო. იქნებ ეს არ არის კარგი, მაგრამ მაინც ნუ გააკვივრდებით. ჩვენმა გლეხებმა შეშა წამოგიღეს. კარგად დაანთე. მე, როცა

მცია, ღუმელზე ავძვრები ხოლმე, შენ კი თურმე ასეთი ღუმელი არა გაქვს...“

ანდა მეორე წერილი: „მაღე ათი წლის გავხდები. გაზაფხულზე დედიკო წითელვარსკვლავიან ჩაფხუტს შემეიკრავს.“

პირველი მოსკოველი პიონერები, კრასნაია პრესნიას 1-ლი რაზმის ბიჭები, 1922 წლის მიწურულს ავადმყოფი ლენინის სანახავად წავიდნენ. მაგრამ ექიმებმა არ შეუშვეს, შეაწუხებთო. ბავშვებმა გადაწყვიტეს წერილი მიეწერათ ილიჩისათვის.

ისინი წერდნენ:

„ჩვენ, დიდი თავისუფალ ბავშვთა მოძრაობის პირველი მერცხლები, მედგრად ვივლით წინ დასახული მიზნების მისაღწევად... და ფიცადებდნენ, ღირსეული შვილები ვიქნებით ჩვენი მამებისა, რომლებმაც დაამხეს კაპიტალიზტიზმი; გამოიხსნით მუშათა შვილებს ქუჩის კლანჭებისაგან; გავიზრდებით ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღნი; მართალია, ჩვენ თვითონ ბავშვები ვართ. მაგრამ საერთო საქმისათვის მებრძოლი ბავშვები, ახალი ქვეყნის პირველი მერცხლები ვართო.“

...„იცოცხლე და იმუშავე, უფროსო მამო, და გახსოვდეს, რომ შენს კვალზე ვივლით მომავლის საუფლოსკენ ჩვენ, პირველი პიონერები...“

წარმოდგენილი მაქვს, როგორ წერდნენ წერილს ბიჭუნები — კრასნაია პრესნიას მე-16 სტამბასთან არსებული პირველი პიონერული რაზმის წევრები, „ახალი ქვეყნის მერცხლების“ პირველი გუნდი. თუმცა გარეგნულად ალბათ არცთუ ძალიან ჰგავდნენ მერცხლებს: თმაბურძგნილები, მოუხეშავები, ზოგს რომ ბუდიონურა ეხურა, ზოგს — ძველი მამისეული კარტუზი; გაცვეთილ-გახვრეტილ ჩექმიანები. ისინი ნახევრად სარდაფში შეიკრიბნენ, სადაც პირველი პიონერული შტაბი იყო მოთავსებული. იქ იშვა მათი მგზნებარე ფიცი ლენინისადმი. წერის ოსტატები არ იყვნენ და ხმის ჩახრინწვამდე კამათობდნენ ყოველი სიტყვის შესარჩევად: უნდოდათ, წერილი რაც შეიძლება დიდური, დარბაისლური, წონადი გამოსულიყო, თანაც მასში ყოფილიყო არაჩვეულებრივი, ამალელებული სიტყვები.

ასეთი სიტყვები მათ არ იცოდნენ და ძალიან წვალობდნენ, და როცა ერთმა მათგანმა, შესაძლოა პიმა სტრემიაკოვმა, ან იქნებ ბორია კუდინოვმა მოიფიქრა „ახალი ქვეყნის მერცხლები“, აღტაცებისაგან ერთხანს ყველა გაირინდა, შემდეგ კი ყიჟინა დასცეს:

— ოი, რა კარგია! დაწერე, მამა, სანამ არ დაგვიწყებია!

რაც სიტყვებით ვერ გამოთქვეს, ვლადიმერ ილიას ძემ სტრიქონებს შუე წაიკითხა: თუ რაოდენ ძვირფასია იგი მათთვის, რარიგ უყვართ, რა ძალიან სურთ მალე გამოჩანსაღდეს; და რომ მას, ძვირფას ილიჩს შეუძლია სავსებით ენდოს მათ, კრასნაია პრესნიას ბიჭებს. მერე რა, თუ ისინი ჯერჯერობით პატარები არიან, თუნდაც ახლავე ეტყვიან კონტრრევოლუციურ ჰიდრას...  
კითხულობდა ლენინი წერილს და ხარობდა. იგი ბავშვებს ექცეოდა არა მარტო როგორც ბარტყებს, რომელთაც გამოკვება და მოვლერება სჭირდებათ, ის მათში ხედავდა ხვალის დღეს, უნდოდა მათი გაზრდა მებრძოლებად, ახალი ქვეყნის მშენებლებად.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ხარობდა, როცა ესმოდა, როგორ გუგუნებდა ქუჩებში საბჭოთა მოსწავლეების საბრძოლო სიმღერები; ხარობდა, როცა გაიგებდა, რა მუყაითად ასწავლიდნენ მოსწავლეები და კომკავშირელები წერა-კითხვის უცოდინრებს წერა-კითხვის სალიკვიდაციო წრეებში, როგორი გულმოდგინებით ცდილობდნენ თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ უპატრონო ბავშვები. პატარა ჩექმების მწმენდავები, მცირეწლოვანი მეგაზეთეები და პაპიროსის გამყიდველები. ხარობდა, როცა გაიგებდა, როგორ ეხმარებდნენ ისინი უფროს ამხანაგებს ლოთობის, ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორ გზავნიდნენ წიგნებს საშეფო სოფლებში, როგორ დადიოდნენ მუშათა საერთო საცხოვრებლებში და იქ მოზინადრეებს ასწავლიდნენ, როგორ მოესპოთ ტარაკანები და ბუზები. ასწავლიდნენ და თვითონაც ეხმარებოდნენ მათს მოსპობაში. ლენინი ხარობდა, როცა მკვირცხლი ბიჭები მოსახლეობაში აგროვებდნენ საჩივრებს ადგილობრივ ხელისუფალთაგან მავანისა და მავანის არასწორი მოქმედების თაობაზე, რითაც დახმარებას უწევდნენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს.

დიახ, ბევრს მუშაობდნენ ისინი — ახალი ქვეყნის პირველი მერცხლები, ნახევრად მშვირები, ნახევრად მიშვლები. ბევრი, ძალზე ბევრი მერცხალი შემდეგ არწივად გადაიქცა. მაგრამ ეს ჯადოსნური გარდაქმნის წყალობით როდი მოხდა: ისინი ხომ ლენინის შვილები იყვნენ!





# გზის დასაწყისი

გივი გუთხუი

მოთხრობა

მხატვარი ზ. შორენიძე

მამა გამოეგება გზაზე. გულზე მიხუტებული მოჰყავდა ბავშვი. უკან კი მიჰყვებოდა მარინე.

— მოდის მწყემსი და მოუდის ცხვარი, ცხვარი!... გალიმებულმა შესძახა გუგუდამ და დაუხედა კალათასა და ძობანს. — ყოჩაღ, ბიჭო! არ მომცდარხარ უქმად, აი!

— დედა, რა კობტა კალათაა?! — წამოიძახა მარინემ.

— აი, ყვავილებს რო შეგპირდი! — უთხრა ძმამ და მი-აწოდა თაიგული.

მარინემ გამოართვა და მიიხუტა გულზე. მერე უყნოსა და ეზოში შევარდა.

— დედა, დედა, აი რა მოიტანა ნუგზარმა, ქალო!..

ბაკში ძროხებსა სწველიდნენ დედა და ბებია.

პირისპირ შერჩა ნუგზარი ძამას... დააბა ცხენი, შერეკა ბაკში ცხვარი და დაბრუნდნენ შინისაკენ.

...ვანშამთ უკან დედამ ჩამოიღო დაირა, გაწმინდა და მოატარა ცეცხლის ალზე. მერე დაუკრა და გაუსინჯა ხმა, თანაც მიხედა გუგუდას. რომელიც ეთამაშებოდა მარინეს. მას დალაღებში ჩაეწნა ყვავილები. შვენოდა შავ კულულებში თეთრი, წითელი, ყვითელი და ლურჯი ფერები.

— აიღე ფანდური და ჩავიდეთ ბანზე, — უთხრა დედამ მამას.

მანაც ფანდური მომართა, ჩაჰკრა კიდევ რამდენჯერმე ძალებს ხელი და წამოდგა მერე.

ჩავიდნენ ბანზე, დაიდგეს სკამები და გაჩაღდა დაკვრა... დაირის ომანიან დრახ-დუ-დუ-დუს საამოდ ერწყმოდა ფანდურის ნაღვლიანი ხმა.

— აბა, მარინე! — შესძახა დედამ.

სალამობით, კარგ გუნებაზე, ხშირად აცეკვებდა ნათელა ბავშვებს... ნუგზარი რალაც უხერხულობას გრძნობდა ყოველთვის, მაგრამ ახლა მზად იყო, ხალისიანად ჩამოსდგომოდა დას, ოღონდ კი რითიმე ესიამოვნებინა მამისთვის.

გალიმებული გადავიდა მარინე, გაშალა ხელები და ჩამოუარა ნარნარად.

— ტაში, ნუგზარ! — გამაქეზებლად დაიძახა დედამ, დაუკრა ტაში და ამ დროს მოვიდა ბებიაც. ცალ ხელში

ბავშვი ეჭირა, მეორით კი მოჰქონდა სკამი. დაიდგა შვილის გვერდით, დაისვა კალთაში ჩვილი და უვითონაც ააყოლა ტაში.

— მარჯვენა ხელი ოდნავ მაღლა, მარინე! სწვრთნიდა დედა. — ჰოო, ეგრე! ტანი სწორად! წამოდი შორიდან, დაცეკვი ჩვენს წინ, მერე მიბრუნდი ნუგზარისკენ და ჩამოიყენე ეგეც!

მარინე უჯერებდა დედას... მოხდენილად რონიობდა დიდ გოგოსავით.

ნუგზარი კი უკრავდა ტაშს და უცდიდა თავის ჯერს. ამ დროს შენიშნა ფეხის ჩქამზე, რომ თითქმის ყოველი უბნიდან მოეშურებოდნენ შავი ლანდები. თანდათან როგორღაც წაუხდა გუნება. რატომღაც ეუხერხულებოდა საჯაროდ ცეკვა. დიდი სიამოვნებით გამოიჩენდა ახლა რალაც საქმეს, ოღონდ კი ამ დროს გაშორებოდა ლხინს. როცა ის იყო, დააპირა ბანიდან ჩასვლა, სწორედ მაშინ შემოუბრუნდა მარინე.

დედამაც გაუგო წადილი თუ არა, შესძახა უცბად:

— ჩამოუდექ, ნუგზარ!

უხალისოდ გაშალა ხელები ბიჭმა.

— ცოცხლად, ყოჩაღად! — გაიძახოდა დედა. — შენ ბიჭი ხარ, ფიცხად უნდა დაცეკვდე! ცეცხლი დაანთო ფეხებით! მარინემ კი უნდა ირონიხოს ნელიად, ნარნარად!.. აბა, ცოცხლად! მთიულურად!..

რალაცნაირად გაქეზდა ბიჭი ამ სიტყვებზე. თანდათან მოვიდა გუნებაზე. ხალისიანად გაშალა მკლავები. მართლა ცეცხლი დააგზო ფეხებით...

დაკვრის ხმაზე ბინდში თანდათან მოჩარდნენ მეზობლები, ერთიმეორის მიყოლებით ამბობდნენ სალამს და ყოლბად ერტყმოდნენ მოცეკვავეთ. ამ დროს უცბად გამოხტა (თუ ვილაცამ ჰკრა ხელი) თითლიბაზანთ სალომე, ჩაუდგა შუაში და-ძმათ და ანცად გაეშუშრა ნუგზარს.

უმაღვე გადგა ნაპირზე მარინე.

ნუგზარს ეუხერხულა დიდ გოგოსთან ცეკვა, დაიბნა მის შუშრობაზე. აჰყვა კი ცოტა ხანს, მერე განუდგა თავაზით და დაუკრა ტაში.

ერთხანს მარტოდ იგოგმანა სალომემ, მერე ჩამოუდგა ბაფხო და უფრო მეტი ლაზათი მისცა ჭაბუკმა ქალიშვილის რონიხს.





დიდთა როკვაზე თანდათან მოხშირდა ტაში. თითქოს ხმა უფრო აღიმართა დაირამაც...

არ ეცალა წელან და ახალა მოათვალეირა მეზობლები. აქ იყვნენ ყველაიძეთა, გაგაძეთა, ბურდულთა და ჩოქურთა ქალ-ვაჟნი. მერე უქანიდან ვიღაც ამოუდგა მამას და ლაზათიანად ააყოლა სალამური. ამან მთლად მონათლა ფანდურ-დაირის შეწყობილი ხმები. თანდათან უფრო მატულობდა მაყურებელთა ჯარი. მოვიდნენ თბილისში მასწავლებელთან მოსამზადებლად ჩასული ბიჭებიც: ამირან, ბექა, ბეშქენ და ბაკურ. დასტყობოდათ ქალაქის იერი ტანლატანა ჭაბუკებს. მარტო გრძლად მოშვებულ-ი თმით კი არა, ჩაცმულობითაც გამოირჩეოდნენ თანასოფლელებთან.

იმ დროს ბეჟანთ დაროს ეცეკვებოდა ზაქათ მიხა.

ახალმოსულთაც კაი მაგარი ტაში შეაწიეს თავიანთ სწორ-ფერთ. უმაღლვე მიიპყრეს ყურადღება და ბუქნობით დაღლილმა ჭაბუკმა ბეშქენს დაუხარა თავი.

...კარგა ხანს გაგრძელდა ცეკვა. მერე ვიღაცები ალაპარაკდნენ ერთმანეთში, თავმჯდომარე მოდის, თავმჯდომარეო და ნუგზარს მოესმა დედის ხმა:

— წადი, ნუგზარ, ჩამაიტანე სკამები!

თითქოს რაღაცნაირად ჩაცხრა ტაში.

დაირაც ვეღარ ბობოქრობდა ძველებურად, ვეღარ ხალისიანობდა ფანდურიც, უძლურადლა კენსოდა სალამურიც... კენტად დარჩენილი ბეშქენიც ის იყო, აპირებდა შეჩერებას...

— განაგრძეთ, განაგრძეთ! — შესძახა კოლმეურნეობის თავკაცმა და გაჩერდა დამკვრელებთან. ნუგზარმა ახალა შენიშნა, რომ თან ახლდა ბრიგადირიც. უმაღლვე გაიქცა სკამების ჩამოსატანად. რომ მიმარჯვდა აივნის კიბეს, უკვე მოჰქონდა მარინეს. გამოართვა ორივე, მოარბენინა და შესთავაზა უფროსებს.

ალარავინ ცეკვავდა და ამიტომ ალარც დამკვრელებს ეტუობოდათ წადილი.

— განაგრძეთ-მეთქი, ხალხნო, განაგრძეთ! — დაიძახა ახლა უკვე სკამზე ჩამოძვარმა თავკაცმა.

— თუ ჩვენთან გეუხერხულებათ, მაშინ წავალთ ისევ! — თქვა ბრიგადირმა.

— არა, როგორ გეკადრებათ!

— მაშ რა არი, აბა!

— ალბათ, დაილაღნენ, მოსწყინდათ ჯეილებს!.. — უპასუხა დედამ.

თანდათან გაჩუმდა ყველა და მკვეთრად გაისმა ჭრინების გაბმული კრინი.

— სალხინოდ მოვედით ჩვენაცა და რა უხერხულია. რო გაჩუმდით ყველანი! — თქვა თავმჯდომარემ.

— ეხლა ვიფიხნოთ! ვთქოთ ზოგი ძველი, ზოგიც — ახალი!.. — ჩაილაპარაკა მამამ.

— ვთქვათ, კი ბატონო! — უპასუხა თავმჯდომარემ და მოათვალეირა გოგო-ბიჭობა. მიაჩერდა ამირანს და დაუმატა მერე: აი, ქალაქიდან დაბრუნებულები გვეტყვიან ახალს! რასა შვრებით, ბიჭებო, როგორა ხართ, როგორ მიგდით საქმეები?

— კარგად!

— წლეთულს მეოთხედ აბარებთ, არა?

არ უპასუხეს ამაზე. მთელი ჯარი სდუმდა მათი სიტყვების მოლოდინში. მერეღა დაარღვია სიჩუმე კოლმეურნეობის თავკაცმა:

— უხერიო მაყარი ლხინსაცა სცდებოდა, ძილსაცაო... ეგრეა თქვენი საქმე. ჩვენც ძალიან გვაკლიხართ აქა და

არაფერი გამოგდით იქ ყოფნითაცა. სამიანებით გატენილი ატესტატები ძლივს წაიღეთ სკოლიდანა და, საცა სამართალია, არც კი უნდა გაგებდნათ უმაღლესში შესვლა. სასწავლებლად უნდა მიდიოდნენ მხოლოდ ხუთოსნები, თითო-ოროლა ოთხოსანიც... თქვენ რო თავის დროზე დაგეჯერებინათ ჩემთვისა, ეხლა უკვე მესამე კურსზე იქნებოდით დაუსწრებელზე, დაგეხმარებოდით ყოველნაირად, გამოგაჩენდით ხალხში. ძალიანა მწყინს, რომ თავს არიდებთ მამა-პაპათა საქმეებს! გამოდის, რომ არ აფასებთ... რასა სთავილობთ ნეტა? აი!.. ერთიბეწო ბალები დადიან ცხვარში! — წამოიძახა და მიხედა ნუგზარს. — ამათ როგორ უნდა გაჯობონ, ამათა!

სიმორცხვე იგრძნო ნუგზარმა ამ სიტყვებზე და მიიმალა ხალხში.

კიდევ კარგი, აღარ მოიკითხა და ისევ განაგრძო თავმჯდომარემ:

— მე ვიცი, გწყინთ, ბიჭებო, ჩემი ლაპარაკი, მაგრამ ნუ!.. კარგად დაუჯერდით თქვენს საქციელს, დაფიქრდით... ერთხელ ემზადო, მეორედ, მესამედ... არაფერი კი არ გამოგივიდეს ბოლოს, თანაც წყალში გადაჰყაროთ იმდენი ფული!.. ჯერ არ გამოგიციდიათ თქვენა, საიდან მოდის თითოეული შაური და როგორ... ალბათ იმიტომ მიგაჩნიათ არაფრად. აბა ერთ თვეს მაინც გამოსცადეთ, როგორი ასაღებია ხელფასი! როგორი ძნელი გარჯითა და ოფლით მოიპოვება!.. მერე მოგეცემათ ყამი და ყადრი!.. — თქვა და წამოიწია ასაღვამად.

მას აპყვა ბრიგადირიც.

— ე ბალები რო დაგვისახელებთ... აბა რა შესაღვრებლები ვართ მაგათთან? კოლეტივისებში რო დადიოდნენ, კიდევ ჰო!.. თავისები დაუდით და მაგიტო არიან საქებრები? — ბრაზით წამოიძახა ამირანმა.

— თქვენ რო არც თავისებისთვისა ხართ და არც კოლეტივისებისთვისა! — უმაღლვე მიახალა თავმჯდომარემ. — ესენი რო თავისებში დადიან, სამაგიეროდ მშობლებს ეძლევათ საშუალება, დასაქმებულნი გვყავდნენ კოლმეურნეობაში! რატო არა ჰფიქრობთ მაგასა? აი ეხლა, კლუბის მშენებლობას ვიწყებთ და გვიჭირს მუშახელი. ნუგზარი რო თავისებში დადის, გუგუდას შეეძლება გამოვიდეს და იმუშაოს ქვითკირზე, ისე კიდევ სხვებსა!.. თქვენ ცალი თვალით კი ნუ უყურებთ ქვეყანას, ორივე თვალთ გახედეთ, რო კარგა დაინახოთ ყველაფერი!

ამის შემდეგ ალარავის გაუღია ხმა.

მართალი იყო თავმჯდომარე...

— აბა, არ გეწყინოთ ჩემგან არაფერი! — ისევ მოუბრუნდა იგი ბიჭებს. — სიმართლე, რავინდ მწარეც უნდა იყოს, მაინც საჭიროა უთხრას კაცმა კაცს. ვალდებულები ვარ, გითხრათ სიმართლე, დაგარიგოთ, როგორ გიჯობთ საქმის გაკეთება! — თქვა და მერე ჩაილაპარაკა საერთოდ: — რაკი გეუხერხულებათ ჩვენთან ლხინი, აი, მივდივართ და განაგრძეთ ისევა!

— არა, ზაქრო! — უთხრა ნათელამ, — როგორ გეკადრებათ? დაილაღნენ ესენიც... აღარ უნდათ, ძილის დროც არი ეხლა!

ამის თქმა იყო და წამოიწია მამამაც.

მერე ჟივილ-ხივილით დაიშალა გოგო-ბიჭობა.

7

მარტო წევს ოთახში. უხუჭია თვალეები, მაგრამ არ ეკარება ძილი. მივა ფანჯარასთან და გადაიხედავს გარეთ. ბაქში ლეგად მოჩანს ცხვარი.

ცხვარი!..

პაპა მთაში მწყემსავს კოლმეურნეობისას. თუირონ კი დადის თავისებში... მართალი იყო თავმჯდომარე!..



თვითონ რომ არ დადიოდეს ცხვარში, მაშინ მამა ველარ იმუშავებდა მშენებლობაზე. გამოდის, რალაც დიდ საქმეს აკეთებს თვითონაც. ტყუილად როდი შეაქო თავმჯდომარემ იმდენ ხალხში!.. რა სასიამოვნოა, რომ შენზე საჯაროდ ვილაც იტყვის კარგს. მერე ისიც ვინ!..

დაწვა ისევ. გვიანლა ჩაეძინა და ამიტომაც დასკირდა დილით გავიძება. ჯერ დაეზარა წამოდგომა, ცოტა ხანს გაირინდა კიდეც, მაგრამ წამოდგა და შეუდგა ჩაცმას. დაიბანა პირი და გაფხიზლდა მთლად. მერე თვითონვე ჩაილაგა პურები გულაში და ჩაირბინა ძირს.

უკვე დაეწველათ ძროხები. დედას მიუდიოდა საქონელი ნახირში.

ბებიას კი ველო ბაკის კარი და ერთიმეორის მიყოლებით გამოდიოდნენ ცხვრები.

დაინახა თუ არა ბიჭი, უმაღვე წყნარად შეჰხვიხვინა წაბლამ.

აუშვა ცხენი და გაჰყვა სამწყსოს. რომ შეჰფინა სერს, ჩამონდა ცხენიდან და გამოხედა სოფელს. ახალა გაახსენდა, რომ დილას უნდა დაეძახნა გავასთვის. „მოვა და მისაყვედურებს...“ — გაიფიქრა და მიმოატარა თვალი სოფლის გზებზე. ნოტო-ნოტოდ გამოდიოდა ცხვარი სძოვარზე... მერე მიაშტერდა თავიანთ სახლს. ნელა იწეწებოდა მტრედისფერი ბოლი საკვამურიდან. ეზო, ბაკი... მერე თეთრად შეფეთილ სკოლაზე შეაჩერა მხერა. გაირინდა სასიამოვნო მოგონებებში...

ნამიან ბალახს მადიანად სძოვდა ცხვარი... თვითონაც მოუნდა ჭამა და შემობრუნა გულა. ამოილო ყველი, პური. ჩაკბინა თუ არა, მიხედა საფერხესაც. ხევის პირზე დაბალახობდა იგი. „ცოტა შევაჭამო მაგასაც!“ — მოტეხა მოზრდილი ლუკმა.

— წაბლა!

მაშინვე გამოხედა ცხენმა.

ბიჭი გაეშურა მისკენ. „ძალიც რო მყავდეს!... უნდა დავაბარო ვისმე მთაში, ჩამოიყვანოს პაპამ. ახ, ნეტავი ეხლა აქა მყავდეს ჩვენი ბასარა!“ — გაიფიქრა და გაუწოდა პური ცხენს.

წაბლამ ნესტოების ბერვით გამოართვა მთაში მოაჩერდა მეტყველი თვლებით.

— აჰა, ერთიც და გეყოფა!.. — შესთავაზა ბიჭმა კვლავ. მერე წყლის დასაღვეად ჩავიდა ხევში.

ქვებზე ჩხრიალით გადმოჰქუხდა აქაფებული ნაკადი. ანკარა ტბორი მოიძებნა ბიჭმა, დაეწაფა წყალს და სვა კარგა ხანს. გავიდა ისევ ველზე და გახედა ცხვარს. „ახ!.. აქ მაინცა მყავდეს ბასარა!.. გავეთამაშებოდი ხანდახან, კარგად ამყვებოდა ისიც. ახლა კი... რომ გავეთამაშო ცხენს, ვიცი, არ ამყვება წაბლა. არც ცხვრებმა იციან თამაში. ძალღმა კი...“ გაიფიქრა და მოესმა განუწყვეტელი წრიბინი. გაიხედა წარაფისკენ. აბოჩირებული ჩიტი დაფრთხილობდა ბალახებიდან ოდნავ მაღლა. ხან დაჯდებოდა მიწაზე, ხან აფრინდებოდა... უყურა კარგა ხანს და თქვა გუნებაში: „აბა ერთი მივიღე, გავიგო, რადა სჩადის ეგრე!“

ჩიტმა დაინახა თუ არა მისკენ მიმავალი ბიჭი, წრიბინით აფრინდა და დაჯდა იქვე რცხილის ტოტზე. ახლა იქ განაგრძო ერთი ამბავი.

მივიდა ბიჭი ახლოს და დაინახა ბალახებში დავარდნილი, აქა-იქ მეჩხერად შებუმბლული ბარტყი. იგი უმაღვე გაფრთხილდა და ის იყო, უნდა შეესწრო ჯაგებში, რომ დასცა ხელი ბიჭმა. შეშინებულმა ჩიტმა უფრო მოუმატა წრიბინს, დაწოკებული აუფრთხილდა წინ.

— ნუ გეშინიან, არას ვერჩი, არა, არა!.. — ეუბნებოდა მისი საცოდაობით შეწუხებული ნუგზარი.

მაგრამ არაფერი ესმოდა ჩიტს. ფრთხილდებდა წრიბინით და ხან შეჯდებოდა ტოტზე, ხანაც ჩამოფრთხილდებოდა ძირს, აუფარფატდებოდა პეპელასავით, მერე დაჯდებოდა იქვე ახლოს ჯაგზე, ერთხანს იქ განაგრძობდა წრიბინს და ისევ აუფრთხილდებოდა წინ...

— არას ვერჩი-მეთქი, ჩიტო, არა, არა! — შესძახა კვლავ და მერე მოათვალიერა ხის ტოტები. თხანაც თავისთვის განაგრძობდა: — რა ექნა, რა ვუყო ამ საცოდავებს?.. აშკარაა, გადმოვარდნილა ბუდიდან, რო დამანახავა, ჩავსვამდი ისევა...





ჩიტი წრიბინით იკლებდა იქაურობას.

კარგა ხანს ათვალიერა ბიჭმა ბუჩქები და ხის ტოტები. გვიანლა შენიშნა ბუდე. ძალიან მიუღვამელ ადგილას იყო გაკეთებული. კი ავიდოდა ხეზე, მაგრამ ჩამოუტყდებოდა ტოტი, ჩამოუვარდებოდა ბუდე და გადმოცვივდებოდა დასარჩენებიც... რომ მოეზიდნა ქვეები, აეკოკოლავენინა ერთმანეთზე, შემდგარიყო ზედ... სანამ მოზიდავდა საკმარს. ვინ იცის, საით წაუვიდოდნენ ცხვრები! ან კიდევ... სანამ ჩავიდოდა სოფელში და ამოიჩანდა კიბეს... მანამ იქნებ... გულიც გაუსკდებოდა ჩიტს, თანაც, წუთითაც კი არ განებდებოდა ცხვარს თავი! როგორ მოქცეულიყო მაშ? აღარ იყო ჩიტის საცოდაობით. იყურებოდა აქეთ-იქით, ფიქრობდა და შეწუხებული ეძებდა საშველს. მოისაზრა მერე, რომ შემდგარიყო ცხენზე... მოიყვანდა ამ ხის ქვეშ... თვალთ რამდენჯერმე გაზომა მანძილი მიწიდან იმ ტოტამდის. მერე ივარაუდა ცხენის სიმაღლეც... შესწვდებოდა მის გავაზე შემდგარი! გაიხსნა ღილები, ჩაისვა ბარტყი უბეში და დაუძახა წაბლას.

უმაღვე გამოხედა ცხენმა.

იმანაც დაიჭირა და მიაყენა ლოდთან. გადაჯდა ზედ, მერე ნელა წამოიყვანა რცხილისკენ, შეაჩერა მის ქვეშ, აქნდა ბუდეს, ნელ-ნელა აიწია მუხლებზე და კანკალით შედგა გავაზე. „რაც მამივა — მამივიდეს! დაე, ჩავვარდეს!“ — გაიფიქრა და კანკალით გაიმართა წელში.

არხეინად იდგა ცხენი და სძოვდა ბალასს...

ბიჭმა ამოიყვანა უბიდან ბარტყი, მალლა ტოტებში აყო წელი და ნაჩქარევად ჩასვა ბუდეში.

ბედზე მოასწრო პირდაპირ!..

სწორედ ამ დროს გაიწია ცხენმა და ბიჭიც მყისვე გადახტა ძირს. წაფორთხილდა კი მუხლებზე, მაგრამ წამოდგა ისევ და ახელა ტოტებს: ჩიტი იჯდა ბუდეს გვერდით და განსარებული დაქუურტულეებდა ბარტყებს.

უყურა ერთხანს, მერე წავიდა ცხვრების დასათვალიერებლად და მოესმა კიდეც გაგას ხმა.

ხევიდან ქვეითად ამოდოდა იგი.

— რამდენი გეძახე. რა არი, გეძინა?

— ჰოო, მეძინა, — უბასუხა ნუგზარმა დამცინაევად.

— იცი, რად გეძახდი? რალაც კარგი რამ უნდა გითხრა ეხლა! — წამოიძახა გაგამ და მოვიდა სუნთქვამომხშირებული.

„ალბათ, მეტყვის, რას მამცემ, რო გითხრაო... ან იქნებ მისაყვედუროს, რომ არ გამოვუარე დილას... მაგრამ არა, ეგ ისე არ მოდის, რომ მისაყვედუროს“, — გაიფიქრა და ველარ შეიოკა ღიმილი ნუგზარმა.

— თავმჯდომარე დაგვიხვდა დილას ბიჭებს რიყუზე... იცი, როგორ შეგვაქო? სუ კარგი ილაპარაკა შენზეცა!.. ნეტავი იქა ჰყოფილიყავი და გესმინა იმის სიტყვები!

— მაინც რა თქო ეგეთი?

— რა ვიცი... ბევრი რამ... მოდი, გვერძნეთისკენ გავრეკოთ დღეს! იცი, რისთვის მინდა იქითა? ჩავათვალიერებდით იქაურობას, იქნებ კიდევ რამ გვეპოვნა ქსნელუბის ცხვარი!


— როგორ ჩავიდეთ იმ ფხანწალზე?

— გრძელი თოკი მაქ წამოღებული. შენ ჯაჭვი მოხსენი ცხენს, გადავბათ ერთმანეთზე, ჩავიდეთ და კარგად დავათვალიეროთ იქაურობა! არ შეიძლება არა იყოს-რა კიდევ!

— გინდაც რომ იყოს, რა ამოიყვანს იქიდან?

— რატო არა? მოვაბამთ თოკს და...

— მოვერევი?



— ცხვარი არ არი მძიმე! აი!.. — წამოიძახა, მიუბრუნდა ნერბს, გამოსლო კომბალი, დაიჭირა და შეისვა კისერზე.

„რა ღონიერი ყოფილა...“ — გაიფიქრა ნუგზარმა და თვითონაც უნდოდა გამოეცადა თავი, მაგრამ... ვაითუ უღონო გამოჩენილიყო გაგასთან. „ეს რომ წავა, მერე ვცდი ჩანს!“ — თქვა გულში და გახედა გაღმა ველს.

ძონით მოდიოდა გაგას სამწყსოც. გამოჩნდა ყელზე თოკდახვეული ცხენიც.

— მიდი, დაათვალიერე ცხვრები, არა დაგრჩესრა ჯაგებში!

— არ დამრჩებიან, შენ არხეინად იყავ!

— მაინც მიდი, მიდი!

გაგამ ჯერ კი ჩათვალიერა ჯანარი, მერე მოუბრუნდა და განაგრძო:

— მართლა თუ გადავარჩინეთ რამე, გამოვაცხადოთ სოფელში, ჰო? როგორ შეგვაქებენ მერე!.. დაიბარებენ ქსნელებს: გამოჩნდა თქვენი ცხვარი და მოდი, გარეკეთო!.. ეს იცი, რა გმირობა გამოგვივა ორივესა? ბევრი ვიფიქრე ამაზე და ვთქვი გუნებაში: მარტო ნუგზარს ჩავიზიარებ ამ საქმეში-მეთქი. ვინ დამიშლიდა, რომ მეთქო სხვებისთვისაც? მაგრამ შენ გარჩიე ყველასა!

„მე რაღა მეფერება ბედენად?“ — გაიფიქრა ნუგზარმა და მიუბრუნდა გაგას:

— ოცდაათამდე ხო თქვენაცა გყავთ. მაგას რომ მივუ-



მატოთ ისიც, რასაც გადავარჩინთ... ვთქვით, ათი სული ამოვიყვანეთ, თხუთმეტი, ოცი...

— რაც მამაჩემმა ამორეკა, რა ხელი გვაქვს იმასთან? ის ჩვენი უკვე! აი, რასაც ჩვენ გადავარჩინთ, ამაზე კი ავტებოთ ერთი ამბავი! ჩვენზე ილაპარაკებს ყველა. ეგებ გაზეთშიც გავგწერონ მერე...

— ჰოო, ვნახოთ ჯერა! — ჩაილაპარაკა თავისთვის ნუგზარმა და გაიფიქრა თან: „კარგი კია, რასაც მეუბნება, მაგრამ რაღა მე? ამას რაღაც მიზანი ექნება გუნებაში, თორღო რაღა მე? ცოტანი არიან ჩემზე კაი ბიჭები? ახლა ვითომ თავმჯდომარის ლაპარაკმა შთააგონა ჩემდამი პატივისცემა?“

ამ დროს ერთმანეთში დაირივნენ მათი ცხვრები და მიბრუნდნენ აღმა გუდაურისკენ.

— მოდი, სხვებიც გავიყოლოთ ვინმე! — უთხრა ნუგზარმა გაგას.

— არავინაც არ გვინდა სხვა! ჩვენ წავიდეთ მარტო!

არ ეპიტხნავა ნუგზარს მისი უარი. „არ უნდა სხვებსაც ჩაუდღოს წილი ამ სიკეთეში. მარტო უნდა გამოიჩინოს თავი...“

— ისე არ წამოვალ, თუ არ გავიყოლეთ სხვებიცა!

— კარგი, აჰა! იყოს შენი ნება! რაკი ძალიან გინდა ეგრე, კარგი, ბატონო!

შესხდნენ ცხენებზე და გაკურცლეს შელმა მთებისკენ, სადაც ცალ-ცალკე დაქსაქსულიყვნენ იალაღებზე საბალახოდ გაშლილი ცხვრები. პირველად მიაჭენეს ზაზასთან. იგი ელიზბარსა და ლევანს ეთამაშებოდა დანასობიას. ბიჭებმა უცბად მიიხედეს საფერხეთა თქართ-ქურზე და ელიზბარს ეგრევე გაუშეშდა ხელისგულზე დადებული დანა.

დაასადავეს ცხენები და წამოდგნენ დამხვდურნიც.

— გვერძნეთზე ჩასახედად მივიღვიართ და წამოდიოთ თქვენცა! — დაასწრო გაგამ.

— იქ რაღაღა?

გაგამ აუხსნა მიზეზი.

მღუმარედ იღგნენ ბიჭები. არც ერთი არ იღებდა ხმას. მერე შეხედეს ერთმანეთს, მოუბრუნდნენ კვლავ და მღუმარედ გააქნიეს თავი.

„აღბათ, ესენი არ შეაქო თავმჯდომარემ... ანდა იქ არ ესწრებოდნენ მაშინ...“ — გაიფიქრა ნუგზარმა.

— ცხვრები კი არა, ოქროც რო ეყაროს იქა, გვერძნეთზე ჩავა ჰკვათამყოფელი კაცი?

მარტლაც, ძალიან სახიფათო იყო იქ ჩასვლა... მაგრამ ცოტათი ხომ უნდა შეუყოყმანებელიყვნენ მაინც? ასე უცბად მტკიცე უარის თქმა!.. კარგად იცნობდა სამივეს. არაფერში არ იცოდნენ მხარის აბმა და ქვახარშიებიც იყვნენ ძალიან. კანფეტი ექნებოდათ, ნამცხვარი, ხილი თუ სხვა რამ, ერთს არ გაიმეტებდნენ არავისთვის. არც საერთო თამაშში გაერეოდნენ აგრერიგად. წიგნებსა და რვეულებში ჩაიცქირებოდნენ ერთთავად. უკვირდა კი, რომ ვერ სწავლობდნენ სხვებზე ბედენად...

ეგრევე შეაბრუნეს ცხენები და ჰკრეს ქუსლი... მიაქროლებდა ნუგზარი და ამ ბიჭებზე ფიქრობდა კვლავ. იქამდის რომ მიჰყოლოდნენ მაინც...

მიაჭენეს ზალიკოსთან და ოთართან. გააფთრებულნი ჰქიდაობდნენ ორივენი. ზალიკო ჩანდა გალახული. გარდა იმისა, რომ ყვრიმალი ჰქონდა გაქლეტილი, ბეჭებზეც შესამჩნევად ეტყობოდა გასრესილი ბალახის მწვანე ნაკვალევი. ხომ მათთან ახლოს დაასადავეს ცხენები, მაინც არ უშვებდა ზალიკო ხელს, ძალიან მოწადინებუ-



ლი ცდილობდა ოთარის წაქცევას, რამდენჯერმე უგდო მოგვერდი, მაგრამ აღარ ეყო ძალა.

— გამიშვი ხელი, კარქი, ჰოო, გამიშვი!.. — უთხრა ოთარმა.

როგორც იყო, დაშველდნენ და ქშენით მოაქცერდნენ ბიჭებს.

უთხრა თუ არა გაგამ, რაღაც იყვნენ მოსულეები, უმაღვე უხმოდ შეაქცია ზურგი ზალიკომ.

ოთარი კი დაყაბულდა უყოყმანოდ.

— მე არ დაფუდგები შენს ცხვრებსა და წადი, რა! — მოაძახა მარცხისაგან გაბოროტებულმა ზალიკომ.

— ი ჩემი ბრჭყვილა ღილები რომ შეიტყაპუნე, დაგავიწყდა? — გაგულისდა გაგამ.

— არ დამავიწყდა, მერე რა? — გაბრაზებული შემოუბრუნდა იგი.

— რაა და გამოუშვი ცოტა ხანსა!

— ვინ უღგას წინა? მე არ დაფუდგები მაგისებსა და წამოვიდეს, რა!

— წამოვიდოდი კია, მაგრამ ანდე, რას ამბობს!..

მიაბრუნეს ცხენები და უთხრა გაგამ:

— კიდე ვისთან გინდა მივიდეთ?

— აღარავისთანა! — უპასუხა ნუგზარმა და გუნებაში კარგად გაისიგრძეგანა გვერძნეთი. რაკი არავის უნდოდა იქ წამოსვლა, თვითონაც რაღაცნაირად გაუფუჭდა გული, მაგრამ ეუხერხულეობდა უკან დახევა. უკვირდა, რატომ იყო გაგამ აგრერიგად მოწადინებული. გაახსენდა მამისა და პაპის ნალაპარაკევი სტუმრებთან, და ამასობაში მივიდნენ კიდეც იმ ადგილას, სადაც ქარიშხალმა მოუსწრო მწყემსებს.

მოათვალიერეს ციკაბო. მერე ძირამდე ჩააყოლეს თვალი. შორს, დაბლა ერთბეწო ნაკადულივით მოჩანდა თეთრი რიყეზე ლურჯად დაკლავილი არაგვი. ალაგ-ალაგ სადაფისფრად უფორეჯდებოდა ტალღები წყალს. ვინ იცის, როგორ გამაყრუებლად შხუოდა ჭალაში, აქ კი, სიშორის გამო, ოდნავდაც ვერ ისმოდა მისი ჩქამი. ალაგ ფრილო იყო კლდე, ალაგ — დამრეცი. მარტო დიდი ძალა კი არა, გულიც უნდა ჰქონოდა იქ ჩამსვლელს. მაგრამ გაგას თვალწინ რაღაცნაირად ითაკილა ნუგზარმა უკან დახევა. უხალისოდ დაიწყო მწორის დატოტვილ ლერზე ჯაჭვის მობმა. რომ მოტეხილიყო, ან ამოგლეჯილიყო ნაპრალიდან... მტრისას! თავპირის მტერევეთ



დაქანდებოდა კლდეზე და სულიც აღარ დაჰყვებოდა ფსკერამდის.

მოაბა საიმედოდ და მიუბრუნდა გავას:

— რალას უყურებ?

— ვფიქრობ... რომ ჩამოვიდე მეც, ვიღამ ამორეკოს ცხვრები? შენ ჩახვალ, მოაბამ რქებზე საბელს და დამიძახებ. თუ გინდა, შენ დარჩი აქა, მე ჩავალ ძირს, მაგრამ შენ ვერ მოერევი ცხვარს. მე კი დიდი ვარ, ღონიერი!

— კარგი! — დაყაბულდა ნუგზარი და მოზიდა ჯაჭვის ბოლო, გამოართვა თოკი, მოაბა და ჩაუშვა კბოდეზე. როცა ჩაიჭიმა ბოლომდის, მოჰკიდა ჯაჭვს ხელი, შებრუნდა აღმა და პირუტყუ ნელ-ნელა დაიწყო ძირს ჩასვლა...

— უფრო თამამად! ნუ გეშინიან, მე აქ არა ვარ? — ამხნევებდა გავა.

ჩადიოდა ნუგზარი და თანაც იყურებოდა ძირს. ალაგ-ალაგ კარგად მწვანობდა ციცაბო. კლდეს ზოგან მეჩხერად ესხა მწოროს, ყოლის, ურძნისა და ღვიის ჯუჯა ბუჩქები. ფენს კარგად იკიდებდა ბიჭი მათს ტოტებზე. თანაც იყურებოდა აქეთ-იქით. ერთგან დააქჳერდა ბასრ შვერილს და შენიშნა ზედ შემხმარი წითელი ლაქები და მატყლის ნაძენძები. სისხლითვე იყო ჩათხეპნილი მის დასწვრით კლდე... სანამ ჩასდევდა ჯაჭვს, კარგად ავლებდა ხელს, როცა გადაინაცვლა თოკზე, ლამის უსრიალდებოდა თითები, ძალის დატანება სჭირდებოდა ყოველ წავლებაზე. ეტკინა ხელისგული, დაეღალა მაჯები და ფეხით მოსინჯა ფრიალო. იპოვნა ნაპრალო, დაეყრდნო ცერებით და შეჩერდა სულის მოსათქმელად, თანაც ახედა კლდეს. რალაცნაირად გაუფუჭდა გული. „ნუთუ აქედან ამ ყოფით არეკეს ცხვრები მაგათ?...“ — გაიფიქრა გავაზე და გაიხედა მარჯვნივ. იქ უთოკოდაც შეიძლებოდა ასვლა-ჩასვლა. „განგებ თუ შემირჩია ეს ადგილი...“

მოესმა რალაც ჩქამი და ჩაიხედა ძირს. აყრანტალეზული ყორნები შესტრიალდებდნენ ერთგან. მარცხნივ კი, ტაფობისებურად დაცერებულ ადგილას, ჯაგნარში აქა-იქ დახირულიყვნენ ცხვრები. გახალისდა ბიჭი მათს დანახვაზე და ნელა განაგრძო სვლა. როცა

ჩავიდა ცხვრებთან, გაუშვა თოკს ხელები, რამდენჯერმე მოლუნა და გაშალა დალილი თითები და ერთთან...

— საწყალო!.. შე ბეჩაო, შენა!..

ამოსწია ტოტებიდან... მერე თვითონაც გაფართხლდა ცხვარი და ბიჭს ეშელავათა რალაცნაირად, მოკეცა თოკის ბოლო, მოაბა რქებზე და ასძახა გავას.

თანდათან დაიჭიმა თოკი. როგორც ჰიდან სავსე სათლი, ეგრე ნელ-ნელა მიიწევდა ცხვარი მალლა. ერთგან ქვის შვერილებზე მისრიალდებდა თოკი. „გაცვდება კლდის ნაწიბურებზე სრიალით...“ — გაიფიქრა ნუგზარმა და მოეფარა თუ არა ცხვარი თვალს, მოუბრუნდა დანარჩენებს. მივიდა ყველაზე უფრო ახლოს მყოფთან. ის მთელი ტანით ჩახლწილიყო ღვიის ტოტებში. დაცემისას ჩაელეწნა წვრილი ყლორტები, რომელთა ნამსხვრევებზეც შერჩენოდა მატყლი. მიუახლოვდა ფრთხილად და ის იყო უნდა წაეველო ხელი, რომ სხვაგნინდანაც მოესმა ბლავილი. სადღაც ქვევიდან ისმოდა ეს ხმა. კიდევ ბლომად ჩანდნენ სადღაც...

გაიგონა ხათქახუთქი და აიხედა მალლა.

გავას კარგა მოზრდილი ქვა მოება თოკის ბოლოზე და ნელ-ნელა უშვებდა ძირს.

„აჰა, აუყვანია უკვე! ესეც კარგი მოუფიქრებია, რომ ქვა მოუბამს“. კვლავ მიუბრუნდა ცხვარს. მოზიდა მთელი ძალით და ბოლოს, როგორც იყო, ამოსვა ტოტებიდან, მოაბა თოკი და დაუძახა გავას.

ნელ-ნელა დაიძრა საბელი.

„კიდევ კარგი, გამხდრები არიან ცხვრები და ალბათ ემსუბუქება გავას, თორემ...“

...წვალეებითა და ვაი-ვაგლახით ძლივს აიყვანეს ათი სული.

უკანასკნელად როცა ჩამოეშვა თოკი, ჩაათვალიერა ნუგზარმა ჩაღმა ციცაბო. პატარა ტერასისებურ ადგილას ერთმანეთზე მიყრილიყო რამდენიმე ცხვარი. წაავლო ხელი საბელს, ჩაჰყვა ნელ-ნელა კბოდეს, მაგრამ ვეღარ ჩასწვდა თოკი. არ იყო მეტი გზა: უნდა ასულიყო ისეც მალლა... გავას გაგზავნიდა სოფელში და კიდევ ამოატანინებდა ჯაჭვს. შემოიხვია თოკი წელზე, შეისკვნა საიმედოდ, თანაც ჩაავლო ხელები და დაუძახა გავას:

— აბა, ახლა მე ამიყვანე, მეე!..

ნელ-ნელა აიწია თოკი.

„გაუჭირდება კი ჩემი აყვანა. მე, ალბათ, უფრო მძიმე ვიქნები ცხვარზე“, — გაიფიქრა და, როცა მიმარჯვდა ფრიალოს, სადაც ვერაფერს ეკარებოდა ფეხი, ხელებსაც დაატანა ძალა, მაგრამ გაწყდა თოკი, ჩაჰკრა შიბს მკერდი და დაყვირებაც ვერ მოასწრო, ისე წაუვიდა გული.





როგორც კი უეცარი სიმსუბუქე იგრძნო ხელში გაგამ, უმაღვე მიხვდა, რაც დაემართებოდა ნუგზარს. ჯერ გაშეშდა, მერე საბელს ხელი გაუშვა და გაიქცა ცხვრებისკენ. რომ მიუახლოვდა სამწყსოს, შეჩერდა და წარმოუდგა კლდეზე თავპირის მტკრევით დაგორებული ნუგზარი.

კარგა ხანს იდგა ერთ ადგილზე და გასცქეროდა არხენად მობალახე ცხვარს, უბელოდ გაშვებულ ცხენებს... დაბრუნებულიყო ისევ? წარმოუდგა დამტკრეულ-დასახიჩრებული, სისხლით მოთხვრილი ნუგზარი და მოერია ტირილი. „რა ჩემი ბრაღია? მე რა შუაში ვარ?“ — გაიფიქრა და დაბრუნდა უკან. მიდიოდა კი, მაგრამ რაღაცნაირად უბორძიკდებოდა მუხლი.

არა, აღარ უნდოდა იმ ადგილას მისვლა, იქ გადახედვა. ისევ მიტრიალდა ცხვრებისკენ. რა დაინახა ნუგზარის ცხენი და ცხვრები, შეჩერდა კვლავ. იდგა ერთ ადგილას და ველარ გადაეწყვიტა ველარაფერი. წარმოუდგა, როგორ გაუჯავრდებოდა მამა, როგორ უსაყვედურებდნენ ბიჭები... წამდაუწუმ იმეორებდა გუნებაში: „რა ვქნა, რა ჩემი ბრაღია? მე რა შუაში ვარ?“ ამ კითხვებით იმართლებდა თავს, მაგრამ... მაინც გრძნობდა დანაშაულს, მთლად მაინც ვერ დაემშვიდებინა სინდისი. მერე წარმოუდგა, როგორ გამოიქცეოდნენ ნუგზარის თმაგაწეწილი და, აკივლებული დედა, შეშლილს მისგავსებული მამა, ბებია, პაპა...

ისევ მიბრუნდა უკან.

მიდიოდა კი, მაგრამ...

ჩავიდა გზაზე, გადახედა გვერძნეთს, მერე ნელა ჩაუდგა ციციბოს და რომ დახედა იმ ბუჩქს, რომელზეც ნუგზარმა მოაბა ჯაჭვი, ჩააყოლა თვალი ჩაღმა და განაბა სული. წაავლო ხელი ჯაჭვს. ჩაპყვა ცოტაზე, მაგრამ ველარ გაბედა მეტი. ამობრუნდა ისევ უკან. ამოზიდა საბელები და დახედა თოკის გაძენძილ ნაგლეჯს. შიბებსა და შვერილებზე თრევისას გაცვეთილიყო და გაგლეჯილიყო ყველაზე უფრო გაძენძილ ადგილას.

გადაწყვიტა, ბუჩქისთვის მოეხსნა ჯაჭვი, აეკეცნა თოკიანად და აღარც გაჰკარებოდა აქაურობას. ჯაჭვს კვლავ მოაბამდა ცხენს და დაუდგებოდა სამწყსოს. საღამოს, როცა მირეკდა შინ, ყველას დაუმალავდა სიმართლეს. კრინტსაც არ დასძრავდა სინამდვილეზე. „არ ვიცი, არაფერი არ ვიცი! ამ სიტყვებით მოვიშორებ ყველას!“

— გაიფიქრა და შეშინებული აბობღდა ციციბოზე. ავიდა გზაზე და მიიბრინა სამწყსოსთან. ვახედა ნუგზარის ცხვრებსა და ცხენს... შეეკითხებოდნენ უეჭველად... არა. არ გამოდგებოდა ტყუილი! გაერჩია მისი ცხვრები და აქაურობას გაშორებოდა თავისებით?! წამოუარა ერთმანეთში დარეულებს, მაგრამ ვერ შეძლო მათი გაცალკეება. თითქოს განგებო, ცხვრები კვლავ ირეოდნენ ერთმანეთში. ისევ მიუშვა ნებაზე. დაეზარა ერთმანეთზე გადანასკვეული თოკისა და ჯაჭვის გახსნაც და ეგრევე დააგლო საბელი. ჩხრიალი მოაღინა ჯაჭვმა, ჩქამიც არ გაუღია თოკს და ისევ გაიხედა იქითკენ. სადაც ეგულებოდა ნუგზარი, აიღო დახვეული საბელი, ისევ მიიბრინა კლდესთან და გადაიხედა ჩაღმა. თვალწინ დაუდგა ჩათეთქვილ-დასახიჩრებული ბიჭი. თანდათან გაუარა შიშმა და გაბედულად ჩააბიჯა კბოდეს. გაუფრთხილებლობის გამო მოუსრიალდა ფეხი და თავქვე დაქანებულმა მალევე მოასწრო ბუჩქზე ხელის ჩაჭიდება.

ჩაათვალიერა ქარაფი და მერეღა შემოიხედა პირადმუშაღვე თვალში ეცა ის ტოტი, რომელზეც ნუგზარმა გამოაბა ჯაჭვი. დახედა დახვეულ საბელს... რაკი ბოლო ჰქონდა მოგლეჯილი თოკს, აქედან ვერ ჩასწვდებოდა შორს. საღამდისაც შეძლებდა სვლას, ასე უნდა ევლო ბუჩქებზე ხელის წავლებით და ნაპრალებსა და შვერილებზე ფეხის ბჯენით. კიდევ ჩაცოცდა რამდენიმე ნაბიჯით, ჩავიდა ფრიალომდის და შიშით ჩახედა პიტალოს. მოათვალიერა ბუჩქები და საიმედოდ მოაბა ყველაზე დიდს. მერე გაშალა საბელი და ახლავდა მოიფიქრა დაძახება. იყვირა მთელის ხმით და უმაღვე ასჩქამდა ნუგზარი.

გაშეშდა რაღაცნაირად. ეგონა, მოატყუა ყურმა და დაუძახა კვლავ:

- ნუგზარ, შენა ხარ, ბიჭო?
- ჰო, მე ვარ! რამდენი გეძახე, სადა ხარ აქამდის? ჯერ სდუმდა ერთხანს, მერე დაუძახა კვლავ:
- როგორა ხარ, როგორა?..
- აბა, როგორ ვიქნები? კარგა ვარ!
- ვაიმე, დედავ! რატო არ იძახდი არფერსა, ბიჭო!
- როგორ არ ვიძახდი? არ გესმოდა? რატო არ მაგონებდი?

„აღბათ მაშინ... როცა შევშინდი და გავიქეციო...“

— დაიცა, დაიცა! მოვდივარ! — დაუძახა და ჩახედა ფრიალოს. ახლა უკვე აღარ ენანებოდა თავი. მაგრამ უნდოდა კი, მშვიდობით როგორმე ჩაეღწია ნუგზარამდენელა დაიწყო ჩასვლა. კარგად ეჭიდებოდა ჯაჭვს, სრი-ალისაგან საიმედოდ იცავდნენ რგოლები. მაგრამ როცა ხელი გადაანაცვლა თოკზე, კარგად ვერ უჭერდა თითებს წვრილსა და გლუვს და მისრიალებდა თავქვე. ისე სტკენდა ხელები, როგორც გაცხელებულ რკინაზე. წამდაუწუმ ეხლებოდა კლდეს, ეყუყუებოდა გვერდები, წელი... ჩავიდა ტაფობამდის და გახარებულმა შეხედა ნუგზარს.


იგი ქვაზე იჯდა და ილიმებოდა ნაღვლიანად.

ნარბენივით ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა გაგა და ერთ ხანს ველარ მოეხერხებინა ხმის გაღება. მერე მივარდა უცბად, გადაეხვია ნუგზარს და შესძახა არაბუნებრივი ხმით:





ჩვენი  
პიონერული  
წელი —  
XI  
ხუთწლელს



ათასზე მეტი წლის წინანდელი კალაპოტის კვალის ნიშნით გვიანდელმა თავიანთმა ისტორიკოსმა.

— მე აღარც კი მეგონე, ბიჭო, ცოცხალი!  
— რატომა?  
— დამტვრეულ-დაღწეული მეჩვენებოდი სულა! რაც მართალია, მართალია, ძალიან შევშინდი... — ხმა უთრთოდა გაგას. — მერეღა ძლივს მოვიკრიბე გონება. რატო არ მეძახდი არაფერსა?  
— როგორ არ გეძახდი, ყელიღა მეტკინა კივილითა!  
„ეს ხომ წელანაც მითხრა... ალბათ, მაშინ მიყვიროდა, როცა მე უკვე გავრბოდი იალალზე...“  
— ეჰე!.. შენ გენაცვალე!.. იცი, რა წუთები გადავიტანე?.. ოჰ!.. შეგიძლია თოკზე ასვლა?  
— რა ვიცი, ვცდი! კარგად ვერ ევლება ხელი! — თქვა ნუგზარმა და გაბრუნდა საბლისაკენ.  
— თუნდა დაიცა ჯერა, რა გეჩქარება? დაისვენე კარგად!  
— ცხვარი თავდანებებული როა?  
— ჰო, მართლა! მოდი, მე ავალ ჯერა! ჯაჭვამდე ჰირს მარტო. ადვილია მერე! ავალ, კარგად რაზედმე მოვიკიდებ ფეხს და ავიყვან შენც!  
— არა, ვცდი მე თავად! მე რო ამწიო, კლდის პირიან შვერილებზე იქნებ კიდევ გაიძენძოს და გაწყდეს თოკი!  
— ჰო, მიდი, აბა! მე აი, აქ დაგიდგები და, თუ ვერ ახვედი და გაგიჭირდა, ძალიან ნულარ შეიწუხებ თავს, ჩამოეშვი, ნუ გეშინიან! გამოგიშვერ ხელებს და დაგიჭერ! მიდი! — შეაქება კვლავ.  
გამხნევებული მისწვდა თოკს. დასწია და დაჭიმა ჯერ, მერე შემართა მკლავები, ჩაავლო მაგრად და აიწია ნელ-ნელა.  
გაგა უმაღვე შეებიჯგა ქვემოდან. ნუგზარს უფრო გაუადვილდა ასვლა.  
სადამდისაც კი სწვდებოდა, ეხმარებოდა გაგა. ცერებზედაც კი აიწია ბოლოს და, როცა ასცდა ნუგზარი, ეგრევე დარჩა შემართული ხელები და შეაშველა ხმაც:  
— ავიდა ბაღი, ავიდა, ავიდაა!..  
ნუგზარი რომ თვალს მიეფარა, გაჩუმდა გაგა და მიუგლო ყური. მერე მოესმა ჯაჭვის ჩქამი. მაინც იდგა და იცქირებოდა მაღლა. თითქოს გაქარწყლებოდა განცდილი შოში და წუხილი. მაგრამ რამდენი ასწავლა წელან გადატანილმა წუთებმა. რამდენი დაანახვა... დღესვე, შინ მისვლისთანავე შეუჩნდება მამას და... ისიც როდია ზოგსავით გაჯიქებული კაცი! იქნებ არც დასჭირდეს ხვეწნა... ხვალვე ერთად გადურეკავენ გადარჩენილ ცხვრებს ქსნელ მწყემსებს.  
— ავედი! აბა, ეხლა შენ დაიწყე ამოსვლა! — ჩამოსაბა ნუგზარმა.  
ერთხელ კიდევ მიმოიხედა გაგამ ირგვლივ. ჩათვალთვალა ჩაღმა ტერასისებური დავაკება, სადაც აქა-იქ ეგლო ცხვარი. ზოგი კი კმაკნიდა ფოთლებსა და ნორჩ ყლორტებს. „მართალია, ვერ ავრეკეთ ყველა, მაგრამ ესეც ხო კარგია, რო ვნახეთ? შევატყობინებთ ხალხს, წამოვლენ და დიდი წვალეა აღარ დასჭირდებათ ამათს ძებნაში, მოვლენ პირდაპირ!“ გაიფიქრა და მერე დაეჯაგურა თოკს. მიიწევედა და მთელის ძალით უჭერდა თიფებს... ახლა როდღა უსხლტებოდა ხელები, თანდათან მიიწევედა მაღლა...



თუ არაგვს აღმა აუყვები, ვიდრე ანანურის ციხესთან აივაკებდე, ერთ ადგილას მეტისმეტად დავიწროებულ კალაპოტს მიადგები. კლდის არტახებში მოქცეული მდინარე ვერცხლისფერ ბაბთასავით პრიანებს.  
ახლა მაღლა აიხედე და კლდის წვერს დააკვირდი: ერთ დროს ფხიზელი ციხის ნანგრევები მთას ისე შენივთებია, ციხეა და არც ციხეა. მის გამოსწვრივ, გამოღმა მთის თხემს კიდევ ერთი ციხის ნანგრევი შემორჩენია.  
ამბობენ, წინათ, ძალიან დიდი ხნის წინათ, ამ ორივე ციხიდან ქვევით, ვიდრე მდინარის ნაპირებამდე, მანდილის ბოლოებივით ეშვებოდაო განიერი გალავანი და იმ ვიწრო კალაპოტთან ლამის უერთდებოდაო ერთმანეთს.  
ომიანობის თუ დიდშიშინაობის დროს მთელი ხეობის მოსახლეობა (თავიანთი წვრილფეხა თუ მსხვილფეხა საქონლით) თავს აფარებდა ამ ვეება ციხე-გალავანს, რომლის შიგნით უნებართვოდ შესვლა-გამოსვლას მხოლოდ არაგვის კალმახი თუ მოახერხებდა. ციხეში შეკეტილებს წყალიც უღევი ჰქონდათ, ახალი თევზიც.  
ამ ახლო წარსულში კი, სამიოდე ათეული წლის წინათ ომგადახდილი



ჰიდროტექნიკოსი პავლე ჯაფარიძე მიუყვებოდა არაგვის აღმა...

გაზაფხული ძალაში იყო შესული და აზვირთებულ მდინარეს ამ ადგილზე განსაკუთრებით ევიწროებოდა სავალი. ორივე მხარეს კი ჩანსალი, დაუბზარავი კლდეები აყუდებულყვენ.

ჯაფარიძე დიდი ენერჯისა და ფანტაზიის მქონე ინჟინერი იყო. კაშხალის ასაგებად მოხერხებული ადგილი ვიპოვნეო, სხვებსაც გაუზიარა ეს ამბავი, ამხანაგებიც აიყოლია და მალე თბილისის ჰიდროპროექტის ინსტიტუტი მდინარე არაგვზე ჰიდროსადგურის დაპროექტებას შეუდგა.

გაივლის ცოტა ხანიც და ხალხის სამსახურში ჩადგება აწ დაუდგარი არაგვის წყალი.

ჟინვალჰესი მდინარე არაგვის ქვედა წელის გამოყენების პირველი საფეხური იქნება.

მშენებლობა მდინარის იმ ნაწილშია გაჩაღებული, რომელიც სოფელ ანანურსა და სოფელ ბულაჩაურს შორის ჩამოედინება და 185 მეტრი ვარდნის სიმაღლე აქვს.

ჟინვალჰესი ჰიდროკვანძია, რაც იმას ნიშნავს, რომ წელიწადში ხუთასი მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯის გამომუშავების გარდა მას სხვა მოვალეობაც დაეკისრება, სახელდობრ: თბილისის, მცხეთის, რუსთავის, ახლომახლო დასახლებული პუნქტებისა და აგარაკების — წყნეთის, კოჯრის, ოქროყანის, წოდორეთის და სხვათა მომარაგება სასმელი და სარწყავი წყლით.

წყალი ხომ ადამიანის ცხოვრების კეთილმოწყობის პირველ პირობათაგანია. დღე მსოფლიოს ბევრი დიდი ქალაქი განიცდის მტკნარი წყლის მწვავე ნაკლულობას. ამბობენ, რომ ტოკიოს (როგორც მისი მოქალაქენი უწოდებენ მას — ოცდამეერთე საუ-

კუნის ქალაქის) რიგითი, საშუალო ოჯახის წევრები ყოველდღე კასრში ჩასხმულ წყალში ბანაობენ... ოღონდ ყველა ერთსა და იმავე წყალში...

ჩვენს დედაქალაქს კი ჟინვალჰესი სულ მალე უხვად მიაწვდის სასმელ თუ სარწყავ წყალს.

ასი მეტრი სიმაღლის მქონე მიწის კაშხალი სწორედ იმ ვიწრო კალაპოტში ჩაჩდება, ვალმა-გამოღმა კლდეებს მიებჯინება, არაგვის სავალ გზას გადაუტეხავს და ხუთასი მილიონი კუბური მეტრი მოცულობის ვეება წყალსაცავად დააგუბებს. მთელი არაგვის ხეობა თავისი ბაღებით, ჭალებით, სოფლებით და ჩარგლის, ბარისახოს თუ ფასანაურისაკენ მიმავალი გზებით წყლის ქვეშ მოჰყვება.

ის კი არა და, ჰიდროკვანძის პირვანდელი ვარიანტი ულამაზეს ანა-

ნურის ციხესაც კი წყალქვეშ აყობლებდა...

ელექტროსადგურის შენობა იქვე ახლოს, კაშხალის ფეხით მოთავსდა, მდინარე არაგვის კალაპოტქვეშ, ორმოცდახუთი მეტრის სიღრმეზე. მის სიგრძე-სიგანეში კალათბურთის ლამის ორი მოედანი ჩაეტევა, ხოლო სიმაღლეში თორმეტსართულიანი სახლი ხალვათად ჩაჩდება.

ჰესის ოთხ ტურბინაში გამოვლილი წყალი ჯერ წყალგამყვანით, ხოლო შემდეგ ვარცლისმაგვარი უდაწნო გვირაბით (მათი საერთო სიგრძე 8,6 კილომეტრია) და კილომეტრნახევრიანი არხით ჩავა ეგრეთ წოდებულ ბუფერულ აუზში, საიდანაც ქალაქებისა და სოფლებისაკენ გაუდგება გზას.

ჟინვალჰესის რეგულირების რეჟიმი სადღეღამისოა. მდინარის მიერ

სახალადგეული  
წყალმიმაგი  
ელმოღება  
წყალს,  
რომ  
გვირაბით  
კვება  
წყალსაცავში  
გაგავნოს.

ჟინვალელი  
პროინჟინერი  
ამირან  
მითიაზვილს  
საპატიო  
პროინჟინერი  
ირჩევიან.




დღე-ღამის განმავლობაში წყალსაცავში მიწოდებულ წყალს ელექტროსადგური თხუთმეტ საათში ჩამოცლის. ღამით კი, როცა ხაზებზე გადაცემული ენერჯია მაინც ტყუილუბრალოდ ივარგება, სადგური უქმად იდგება.

სამაგიეროდ, ბუფერული აუზი იმ თხუთმეტ საათში მიღებულ წყალს ოცდაოთხ საათზე თანაბრად გაანაწილებს და სასმელად თუ სარწყავად მიაწვდის კაცსა და მცენარეს. ფრინველსა და ცხოველს...

ჰიდროკვანძი ოცდაათი ათასი ჰექტარი მიწის მორწყვასა და სასმელ-სარწყავი წყლით იჭაურობის მომა-



გაპრის  
მომსწრა,  
გაპრის  
მანაველი  
ანანური...



რაგებაზე 43 მლნ მანეთის ხარჯს ითვალისწინებს.

წყალქვეშ მოსაყოლი სოფლების ნაცვლად მდინარის ორივე ნაპირზე უკვე ახალი სოფლები გაჩნდა. და თუმცა ამაყად წამოჭიმული ორსართულიანი სახლები ჯერჯერობით ზევიდან დასცქერაან ხილას ახალგაზრდა ბალებს, სულ მალე წამოიზრდებიან ვაშლის თუ ატმის, ჭერმის თუ ალუბლის ხეები და თავიანთ სიმწვანეში ჩამალავენ თეთრ შენობებს.

ჩვენი ქვეყნის კანონები იმასაც ითვალისწინებს, რომ თუკი სადმე სავარგული იტბორება, სახლი შენდება ან ახალი გზა გადის, მშენებლობის ზონაში აღმოჩენილი ძეგლების ყოველგვარი შესწავლა ამ მშენებლობის ხარჯზე უნდა ხდებოდეს.

რომ არა ეს ჰიდროკვანძი, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს დაელოდებოდა თავის აღმოჩენის საათს ის ნაქალაქარი და ნასოფლარი, რომელიც ეინვალის არქეოლოგიური გათხრების შემდეგ წარმოჩინდა და უკვე რესპუბლიკის დარგლებსგარეთაც კი გაითქვა სახელი, რაკი ამ უძველეს პროვინციას მეტად მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში.

აქ ნაპოვნია სამკაულები, არმაზულ-წარწერიანი ვერცხლის ფიალა, წითლად მოხატული ქვევრები და, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ, საგნების უბერებელი ერთ გვიამბობს წინაპრების ცხოვრებასა და ჩვეულებებზე.

ესეც ეინვალის ჰიდროკვანძის დამსახურებაა და ის ახალი გზატკეცილიც, რომლითაც დიდი ვაჟას სამშობლოში, ბარისახოში ანდა მთის კალთებზე გაშენებულ ფასანაურში შეგიძლია გაისეირნო.

ამ გზებზე ეინვალქესმა მრავალი ახალი ხიდი ააშენა, მაგრამ ერთის

ნახვა ახლავე, ხეობის შეტბორვამდე მინდა შემოგთავაზოთ. ეს განიერი ხიდი ანანურელი ერისთავების ამპარტავანი ციხე-კოშკის გალავანს ჩაუვლის გვერდით.

ზედ თუ გაივლი, ხილია და ხიდი, მეტი არაფერია. ქვევიდან უნდა შეხედო. ირგვლივ მაღალი მთები აკრავს და მაინც ცაში გამოკიდულ საოცრებას ჰგავს. რკინაბეტონის გრძელსა და განიერ ფილას ძალიან თხელი, უჩვეულოდ თხელი და მაღალი ბურჯები შეჭყულებიან. თავისი სინატიფით და უბრალოების დიდებულებით იგი მეტეხის ხიდს წააგავს და არცთუ შემთხვევით. მათ ერთი და იგივე ავტორი ანგარიშობდა და აპროექტებდა — ხიდების მშენებლობის ცნობილი მეცნიერი გიორგი ქარცივაძე. დიამახსოვრეთ, მისი სახელი, იგი შესანიშნავი პედაგოგი და უკეთილშობილესი ადამიანი იყო.

ეს ხიდიც მისმა ყოფილმა მოწაფეებმა — ავთანდილ ჩალაძემ, გოგი ცინცაძემ და სხვებმა ააშენეს.

ავთანდილ ჩალაძე ეინვალქესის მშენებლობის უფროსია. ეს ძალიან რთული კვანძია და ხელმძღვანელობასა და თავდადებას, ენერჯიასა და ყურადღებას მოითხოვს.

ჩალაძისათვის მშენებლის ძლიერი ხელები, მტკიცე ნებისყოფა და საქმის დიდი სიყვარულის უნარი მიუნიჭებია განგებას.

ხომ იცნობთ ჩვენი ქვეყნის ბევრ კარგ მწერალს, კარგ მხატვარს, კარგ კომპოზიტორს, ვინც თქვენს სულს ზრდის და ალამაზებს; ის მშენებლებიც გაიცანით, ვინც ცხოვრება გაგილამაზათ: პირველი ელექტროსადგურის აშენებელი ზაქარია ჭიჭინაძე, დიდი ქართველი ჰიდროტექნიკოსები ალ. ლოსაბერიძე, მირიან ებრაღიძე და სხვანი; ამ საპატიო სიას ჩალაძისნაირები გააგრძელებენ.

ეინვალის ჰიდროკვანძს ერთად

აშენებენ ქართველები და რუსები, ბერძნები და სომხები. ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ვახტანგ გიორგობიანი და გიო მაისურაძე არქეოლოგებთან ერთად ხან წერაქვს იქნევენ, ხან რბილი ფუნჯით ასუფთავებენ ნანგრევებს, ხოლო სამოცდათორმეტი წლის ინჟინერი ვალოდია ყორყოლაძე კვლავინდებურად გზათა გაყვანის დიდ მესაიდუმლედ ითვლება.

თქვენი თანატოლები: მედიკო და დათო გიგაურები, გია ტურძელაძე, ბადრი პაპელაშვილი, ზაზა მუზაშვილი, რეზო ქურციკიძე და სხვები ჯერ ისევ სკოლაში დადიან. სკოლის ოთხსართულიანი შენობა 960 მოსწავლისათვის ააშენეს ეინვალქესის მშენებლებმა. ამ სკოლას თამამად შეიძლება ეწოდოს ინტერნაციონალური, რადგან, ვთქვათ, რუსულ მეცხრე კლასში, სადაც სულ თორმეტი ბავშვი სწავლობს, შვიდი ეროვნებაა წარმოდგენილი: ქართველი, რუსი, თათარი, ტაჯიკი, სომეხი და სხვ.

ეზოში რომ ფეხბურთის ძოედანია გადაჭიმული, მშენებლები შეჰპირებიან ბავშვებს — სპორტულ კომპლექსურ ძოედნად გადაგიკეთებთო. კიდევაც შეუსრულებენ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ სკოლა უკვე სადაბოსაბჭოს გადაეცა, მიმდინარე რემონტს მას მშენებლები უტარებენ, ეზოს გასამწვანებელი ნერგებიც იმათ მოაქვთ, შენობის გასათბობი სისტემაც იმათ გაიყვანეს და ვინ მოსთვლის, კიდევ რა არა...

იცით, ამდენ ამაგს რითი უხდიან მოსწავლეები?

ამ სკოლადამთავრებული ალექსანდრე ლანიაშვილი, რომელიც უკვე ჩაირიცხა ფიზკულტურის ინსტიტუტში, საქართველოს მოქიდავთა ნაკრების წევრი გახლავთ. ძიუ-დოს ილიეთებს ამ სკოლაში დაეუფლა.

ვორონეჟის პოლიტექნიკური ინს-



ტიტუტიდან ლამაზი წერილი მოვიდა: ჩვენი პედკოლექტივი მადლობას გიცხადებთ იმ ღრმა და მტკიცე ცოდნისათვის, რომლითაც თქვენმა ყოფილმა მოსწავლემ მარინა სიდოროვამ გამოიჩინა თავი. ვიმედოვნებთ, თქვენი სკოლის აღზრდილები კვლავაც გახდებიან ჩვენი სტუდენტები.

„ტყავის ბურთის“ გათამაშებაში ქინვალის სკოლამ მეორე ადგილი დაიკავა. ფრენბურთული ვაჟებიც მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

ქინვალელი პიონერები კი საკავშირო პიონერული ორგანიზაციის დღეშეთის რაიონულმა საბჭომ 1981 წელს სიგელით დააჯილდოვა, რადგან თქვენმა თანატოლმა გოგონებმა და ბიჭებმა მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდი თავგამოდება გამოიჩინეს, არაგვის მენილეობა-მევენახეობის მიურნეობას ტყეში მოგროვილი თოთხმეტხანევიარი ტონა ფოთოლი ჩააბარეს.

მერე ისევ იაქტიურეს სილოსის დამზადებაში, თავიანთი მოგროვილი ბალახი მანქანას თვითონვე დაატკეპნეს და ბრიგადირების გულითაღი მადლობა დაიმსახურეს.

ცოტა უფროსები — ჯიმშერ მიმანაშვილი, ზურაბ მირზიაშვილი, ზევარ ბადაგაშვილი და სხვანი მთელი ზაფხული გვირებიდან არ გამოსულან. გულმოდგინე შრომით ძალიან დაეხმარნენ მშენებლებს. თან ყოველ სალამოს ეტრახებოდნენ და ნიშნს უგებდნენ ბადრი ბუჩუკურს, ორ ნუგზარს (სისველაშვილსა და ბეჭაურს) და დანარჩენ ბიჭებს,

რომლებიც ქინვალის არქეოლოგებთან ერთად თაკარა მზის ქვეშ მუშაობდნენ: — ჩვენ მიელი ზაფხული აგარაკზე გაატარეთ, გვირებში მთაზე უფრო გრალოდა და არც კლდის ნაჟური ან, კარა წყალი გვეკლდაო.

ნუგზარ ბეჭაურს კი ლამის მეთულხიჩე შეერქვა. მთელ ზაფხულს, ყოველ დილა-სალამოს რეზინის მილი ეჭირა და წყაოს უმარჯვებდა ახლად დარგულ ნარგავებს.

ორმოცდაათზე მეტი ფიჭვი დარგეს, ტყეებისა და ყვავილების მწკრივით გაალამაზეს სკოლის მოტიტვლებული ეზო გოგო-ბიჭებმა.

ამას წინათ ქინვალელებმა ორი გვირების შეერთება იზეიმეს.

იციტ, რა დიდი ღელვაა გვირების შეერთება?

როგორი ბაგაბუფი გააქვს გულს, როცა ერთი წერაქვის კლდეზე რაკუნს მეორე გვირებიდან ესიტყვება დარტყმის ხმა. ლამის ხელი აუკანკალდეს კაცს შიშით, ლამის ვაჟაკობა წაუხდეს: ვაითუ ასცდეს გვირები გვირებს, ვაითუ გვერდით ჩაუაროს, ან ზევით გადაუაროსო.

აბა რა ვიციტ, კაცი ვართ, ეგება მარჩვიდღირს შეიშალა ნიშნული, ეგება ლერძზე ჩასმული პალო ვილაცამ ანაგებად გადაადგილა და კერ შეამჩნიეს...

უნდა გაჩვენათ, რა სიხარულის ერიამულია, რა ხვევნა-კოცნაა, როცა უკანასკნელი აფეთქების ხმა მიწყნარდება, ბელტები დალაგდება, მტვერი დაჯდება და გვირებში შესვლის ნებართვა გაიცემა.

ეს ამოდენა კაცები გვირებში ხტან და ცეკვავენ, ერთმანეთს ულოცავენ, წარმოდგენაში გავლებული მიჯნის აქეთ-იქით დგებიან და გამარჯვებულები, გაბავშვებულები გავვდილ ხელებს ვაჟაკურად, ხმაურით ართმევენ ერთმანეთს.

მერე მიწის ზევით იწყება ზეიმი ქინვალელი მოსწავლეები თავიანთი სიმღერით, ცეკვით, თამაშით, ლექსებით ამშვენებენ, ჭეშმარიტ დღესასწაულად აქცევენ ამ ზეიმს.


მოწინავე მუშებსაც ხშირად ეპატიჟებიან სკოლაში, ინტერესით იძიებენ მათი სპეციალობის ავკარგს და თვითონაც მათი სპეცტანსაცმლის ჩაცმაზე ოცნებობენ. გვირებამყვან ამირან მოთიაშვილს წითელი ყელსახვევი შეუქვანძეს და ქინვალის საშუალო სკოლის პიონერული ორგანიზაციის საპატიო პიონერად მონათლეს.

ქინვალის ჰიდროკვანძის მშენებლობის დამთავრების ვადად 1984 წელი იყო დათქმული. თქვენი ქინვალელი თანატოლები მისი მშენებლების რიგებში ჩადგომას ეპირებოდნენ. მაგრამ ჰესელებმაც შეცვალეს გეგმა და გოგო-ბიჭებსაც შეაცვლევინეს, რადგან მშენებლობის დასრულება ერთი წლით ადრე ითავეს და 1983-ში გადმოავადეს.

ვუსურვოთ წარმატება ქინვალის ჰიდროკვანძის მშენებლებს ამ მამულიშვილურ საქმეში.

**მელა შავლიაშვილი**

ფოტო მ. ცაბარლისა



შეგორვის ზონიდან გადასახლებულთაახალი სოფალი.



ლილარი ივანე

კიბნი  
ივანე

ნაწილი მომღერალი  
თავისებური კიტხალით  
ეგვიპტის მხარე,  
რომელიც ფილიპალი  
მცირე ხნით თუ  
გამოანათებს აჰ.

კრთის პოლარული ღამე...  
— ხვალ მზეს ვიხილავთ, ხვალ!  
ითვლიან რძისფერ წამებს,  
ცას მოავლებენ თვალს.

ტუნდრა — ტაიგის ველის  
პატრონი როკავს, მღერის:

„აკაკაშკაშე, მზეო,  
მანათობელი სხივი,  
მიეც სითბო და ძალა  
ძარღვებში სისხლის ხივილს.

გზა გაუნათე, მზეო,  
მწყემსსა და მონადირეს,  
ნუ მოგვაკლდება შენი  
ისედაც სხივი მცირე...“

წამით თუ გნახავთ ზოგჯერ  
შორს, შორიზონტზე გაკრულს,  
ახლა სიმღერა შენზე  
დამსგავსებია მაყრულს;

რადგან შენშია, მზეო,  
სიცოცხლის  
ძალა, სისხლი, —  
ამ პოლარული თვლემისგან  
გვიხსნი, სულ მალე გვიხსნი“.

ჩრდილოეთის  
სივლი

ტიქსონი საოცარი  
სილაგაზე — ჩრდილოეთის  
ცივლი ვიხილე.

პოლარულ ღამეს  
მენამულ ცაზე  
უცებ აენტო გვირგვინი იგი  
და ტუნდრა — ირმის ჯოგებით  
საუხე  
გაიყინა და, ვით ოქროს წიგნი,  
გადაიფურცლა სხივით  
სირმებით

თავზე აგვანთო ასი ტიარა,  
მლოცველებივით იდგნენ ირმები.

და ნათელხილვის ჩანგი ბრიალა,  
კრთოდა, ინვოდა ლეგენდის  
ალით,  
თითქოს მიხაკთა ფიფქების მიღმა  
მარგალიტების ძვირფასი თვალი

ტუნდრას აცლიდა მიმწუხრის  
ნიღაბს.

და იდგა წამი — ელვარე  
თრთოლვით...  
(აქ ფერებს დიდი მხატვარი უნდა!),

გარდა თოვლისა,  
სხვა არის თოვლი,  
გარდა ტუნდრისა,  
სხვა არის ტუნდრა!

გაიკალს  
იკით

ენისეი, ანგარა...  
შრომის გზები გავლიეთ,  
შენი ჯერიც დამდგარა,  
ზაბაიკალიევ!..

გესმის წინაპართა  
ხმის ყრიალა ექო,  
ჰოი,  
ძილი მართლა,  
ტაიგის ტყევე, გეყო!  
უნინ დილეგთა და  
კატორღელთა მხარევე, —  
ვინც სიმართლე სცადა,  
უბნელებდნენ თვალებს;  
კვენსას,  
კივილს,  
მუქარას  
იმ ბატონთა არიებს,  
შენც ისმენდი მწუხარედ,  
ზაბაიკალიევ!  
ახლა სხვაა შენი ხმა,  
დიდ მომავალს დანებდი, —  
მარადისი შერისხვა  
წილებს,  
იმ ტანჯვა-წამების.  
ენისეი, ანგარა...  
ეს რა გზები გავლიეთ,  
შენების დრო დამდგარა,  
ზაბაიკალიევ!

ანგარასთან  
იკალს

მოჯარულან ჯვართან  
შუბლგოროზი მთები, —  
კაცს აქ უნდა მართლაც  
ასაფრენი ფრთები.

და მკარნახობს გული,  
უპირველეს ყოვლის,  
იმღერო სრული  
დაბადება ხომლის.

იმღერო ნათლად,  
დროის შესაფერი,  
ყური უგდე, მართლაც,  
მთა რომ მთაა, მღერის.  
მზის კორომთა წილ  
გულმართალი ჰანგი,  
მოაქვს კოლხურ ნიავს  
და... ხმიანობს ჩანგი.

დაილოცოს მინა,  
დალოცვილი ასგზის, —  
მინა — ციტრუსების,  
ჩაისა და ვაზის;  
დაილოცოს მინა  
უნიკალურ ჰესის,  
ახლა ენგურივით  
იტალდება ლექსიც.  
გრგვინვა აქაური  
თბილისშიაც მესმის  
და ცოცხლდება თვალწინ  
ლეგენდათა ფესვი.

ჰესს ამაღლებს ახლა  
შემართება მძლავრი,  
რომელსაც მზედ ახლავს  
თავდადება მრავლის.  
ამ გვარდიას ჰქვია  
მშენებელთა ჯარი,  
უძლეველი, დიას,  
უძლეველი არის.  
უძლეველი, იგი  
ყველგან —  
მთაშიც, ბარშიც, —  
ვიცი, შრომის წიგნის  
ფურცლებს თრთოლვით

გაშლის,  
დაწერს მართალ ფურცლებს  
ეგ არწივი მთების,  
რადგან გული უცემს  
გმირულ შემართებით.  
მშენებელი ჰქვია  
იმედს მთის და ბარის,  
მისი საქმე, დიას,  
სალეგენდო არის.









ხმით, როცა ტყეში სრული სიჩუმე დაწყებდა. — საცაა ზაფხული გავა და ზოგმა აქამდისაც არ იცის, ვინა ვართ და ამ ტყეში რა გვინდა. ერთი ალთას გაიძახის და მეორე ბალთას მიიწევს. ახლა იმისთვის მოვიყარეთ თავი, რომ ყველამ თავის მულამი გვიტხრას. მაშ დავსდეთ და სამართალი ექნათ. თუ ყველას ერთი გზა გვაქვს სავლელი, ერთად ვიაროთ, თუ არა და — ყველამ თავის გზა მოძებნოს. ამის გამო საქმეს არა დაუშავდება-რა. აქნობამდისაც ძმები ვიყავით და ისევ ძმები ვიქნებით, აგრეთა თუ არა?

— აგრეთა, აგრეთ! — დაუდასტურეს ყოველმხრივ, მან კი ერთხელ კიდევ გადახედა ძმობილებს და მწიფე ხმას ოდნავ მეტი სიმტკიცე მისცა:

— ძმებო! ჩვენი ბანაკი შარაგზა ხომ არ არის, რომ ყველა ვიგინდარამ აქ მოიკეცოს? აქნობამდის რომ კარი გაგვეღო, საქართველოს ნახევარი მოგვაწყდებოდა და ხალხი ბაქოდან, ერევნიდან და ძაუგიდანაც კი მოვიდოდა. ჩვენ კი ერთი კაციც არ მიგვიღია გაუჩხრეკავი და უცნობი. მართალია, ყველანი ძუღრეგები ვართ. მაგრამ დოსტები და ძმებიც ვართ და ერთმანეთი მარაბდელ კამეჩებსავით გავგაქვს. მაგრამ ზოგი ამას არა კმარობს და მოითხოვს, რომ ჩვენს ოჯახს ოთხივ მხრივ გავუღოთ კარი და ჩვენი ციხე დუღაბის ნაცვლად ტალახით ავაშენოთ.

— არ აშენდების, — ჩაილაპარაკა როსტომმა.

— ჰაი, ჰაი, რომ არ აშენდების, — ჩაუბრუნეს აქეთ-იქიდანაც.

— არ აშენდების შლაამითა ბირთვის-სამშვილდის ციხენი. — დაუდასტურა არსენამაც. — გარდა ამისა, ნუწლი ბევრი დავეჭვებოდა და ვერ ვიშოვით. იმოდენა ხალხს ვერ გამოვკვებავთ და ისევ დავიქსაქსებით. ესეც რომ არ იყოს, მოლაღატე შემოგვეპარება და ლეკვებსავით დავვიჭერენ. მაშ რას იტყვიოთ, კარი გავაღოთ თუ უარესად ჩავკეტოთ?

— ჩაკეტოთ! ჩაკეტოთ! — მოისმა ყოველი მხრიდან და ყველამ ლაცაბიძეს, ახალმოსულებს, დალი ჰასანს, კარპიჩას და მაგდანას გადაჰხედა.

— ახლა ვიკითხოთ, — განაგრძო მარაბდელმა, — ვინა ვართ, რა გვინდა და ამ ტყეში თავი რისთვის მოგვიყრი. აბა ერთმანეთს გადაჰხედეთ, ზოგი რამე გაიხსენეთ და გავიგეთ, სევასტი იმერეთში მართალი საქმისთვის იბრძოდა, მაგრამ დაამარცხეს და შინიდან ნადირივით გამოაგდეს. ბატონებს ავი კაცი ჰგონიათ,

ნამდვილად კი. ფრთები რომ შეასხა, მტრედად გადაიქცევა.

— ბუხრიდან ამოვარდნილი მტრედია, — ჩაუბრუნეს ერთმა.

— ეშვიანი მტრედია, — დაუმატა მეორემ.

— მგლის ჯიშის მტრედია, — მიაწოდა მესამემაც და ირგვლივ სიცილი დატრიალდა.

თვითონ „მტრედმა“ კი ათივე თითი ჩაიფოცა ბაბახანური წვერი და ზედ ეშვები დაანათა. არსენამაც ჩაიღიმა და სათქმელი ისევ თავის გზაზე დააყენა:

— კარპიჩას დედ-მამა გაუციმბირეს, თვითონ კი ცოლ-შვილიც არ აგემინეს, თავის სოფლის სახელიც კი დაავიწყებინეს. ბოლოს ზაალს მწვევარში გაუცვალეს და ისე გაააგის, რომ დილით-დილადად ამასლა გაიძახის: პუგაჩოვი მინდა! მოკვლათ! დავბოცოთ! დავწვათ და დავანგრითოთ! ნამდვილად კი ამ საწყალს ისეთი გული აქვს, რომ ბულბულსაც კი შეჭმურდება.

— გაროზილი ბულბულია, — ჩაიხიბინათა ვიღაცამ და ისევ სიცილმა ჩაიარბინა.

„ბულბულმა“ მზეუტკვრიტეს ლაწუნს თავი მიანება, ბალღივით გაიღიმა და ქურდულად მოიხოცა ცრემლი, არსენამ კი, რახან ორი დაახასიათა, სხვებსაც გადაჰხედა და თათარს დაადგა თვალი:

— დალი ჰასანმა სამი მოსისხლე მოკვლა, სამად-სამი, და ამისთვის ციხეში ჩაგდება დაუპირეს. ასეთი უსამართლობა ვეღარ მოითმინა, გავარდა და სამს ორმოცდასამიცი მიაყოლა. ვინც არ იცნობს, ტარტაროზი ეგონება, ნამდვილად კი ყანდის შაქარივით ტკბილი კაცია და სააღდგომო ბატკანივით უმანკოა.

— მაიორს ასეთი შაქარი!

— ეს ისეთი ბატკანია, რომელიც მარტო მგლის ხორცს სჭამს და მეტს არაფერს, — დაუმატეს აქეთ-იქიდან.

„ტკბილმა კაცმა“ ქოსა წვერი მოიხოცა და მიწას ჩაუღიმა, არსენამ კი ახლა მაგდანას დაადგა თვალი და ღიმილი მოისხიზა:

— ძალო მაგდანას ქმარი გაუყიდეს, პაპას გული გაუხეთქეს, სახლი და ქონება გადაუბუგეს, მამაც გაუღივინეს, დათუნაც ციხეში ჩაუგდეს და შვილს ზურასაც მოსაკლავად დასდევინ. თვრამეტი წელიწადია რაც ძალო მაგდანამ სამგლოვიარო კაბა ვეღარ გაიხნა და შავ ანგელოზს დაემგვანა.

ყველანი ქვრივს მიაჩერდნენ, რომელიც მართლა შავი ანგელოზივით იდგა ჩრდილში. მას არც წილან გა-

უღიმიდა და არც ახლა შეიტრიალები.

— სიმონა და ოსტაპი ქათმებივით გაჰყიდეს, გაჰყვა ოძელაშვილი, — სულხანს ძმა სულ უბრალოზე დაუხვრიტეს, ბალოც უბრალოდ გაახეიბრეს, მეშთა და ზურა სისხლს ეძებენ. დიჭირამ მურღალ საქმეს დააღწია თავი და მეც რატომ წამოვედი, ესეც ხომ ყველას გეცოდინებათ. ეს დანარჩენი ხალხიც მეფის როზგს და ბატონის მადას გამოექცა. ყველანი უბრალო ვართ და ბევრი არაფერი არ გვინდა: ხელმწიფემ სალდათად არ გაგვიყვანოს, ხარკი მოგვიფონოს, ბატონყმობა მოსპოს, ყველანი გაგვათანასწოროს და მიწა მიწის მუშას დაუბრუნოს, თუ არა და...

— თუ არა და? — მიაწოდა სევასტიმ.

— თუ არა და, — ჩამოართვა არსენამ, — თუ არა და ამ საქმეს ჩვენვე შევუდგებით და კიდევაც გავაქეთებოთ.

— როდისღა? — იკითხა კარპიჩამ.

— როცა დრო მოვა, — მიუგო მარაბდელმა. — ზოგი ახირებულა, ახლავე დაკიწყოთ და, ვინც მოხელე და თავადი შეგვხვდება, ხელაღებით ვხოცოთ, ბრალიანიც და უბრალოცო.

— ბრალიანი მაინს დავხოსოთ, წამოიხახა ჰასანმა.

— დალი ჰასან, — დაუბღვირა ოძელაშვილმა. — თუ მეგ ხელით დაღვრილი სისხლი არა გყოფნის და გინდა ეს ბანაკიც ყაჩაღების ბუდედ გადააქციო, უმჯობესია ისევ გორულის კოშკში დაბრუნდე.

— ვალაჰ, გორულის კოშკი აღარ მინდა! — გულწრფელად წამოიძახა თათარმა.

— კეთილი და პატიოსანი. მაშ ისევ ჩვენს გზას დავადგეთ. იმასაც ამბობენ, მუშა-ფუტკარი მუქთახორა ფუტკარს ჰხოცავს და ჩვენც ხომ ყველა მუქთახორა ვაჭარი, ბატონი და მოხელე უნდა ამოვხოცოთო. ფუტკარი ღვთისგან არის ნაკურთხი, მაგრამ ადამიანი იმაზე უფრო გონიერია და ფუტკარისგან ჰკუა არ ესწავლების. ესეც რომ არ იყოს, რა-ნა ფუტკარს მიგვამოთ და არა ლომს ან ჩიტებს? ყველას თავისი ხასიათი აქვს და ყველანი თავიანთი გზით დადიან. ადამიანი კი ფუტკარიც არის და ლომიც. მერე: ამ ქვეყნად უთვალავი მუქთა ხალხი დადის. ყველანი რომ დავხოცოთ, არც ძალა გვეყოფა, ხალხიც განახევრდება და არც შეგვეგრგების. ისიც იცოდეთ, რომ სისხლს თავის კანონი აქვს და დაგვჯახის. ერთი წვეთი უბრალო



სისხლი წარღწილ ვადაიქცევა და ქვეყანას წაღუკავს. ნათქოშია, არა კაც ჰკლაო, მაგრამ ჩვენ უნდა ყველგან ამოვხოცოთ და ამოვწვათ უკაცური საქმე, აზნაურული ზანტობა, ქედმაღლობა, მფლანგველობა, გარყვნილება. გაუტანლობა და ყოველგვარი სიავე. მარტო სისხლით კი ვერას გავხდებით. საცა სიტყვა გასჭრის, სისხლი რა მოსატანია! და თუ ზოგჯერ ჩვენი სიტყვა არა სჭრის, ისევ ჩვენი ბრალია. ჩვენს სიტყვას თავდაპირველად ჩვენვე დავდოთ ფასი და სხვებიც დააფასებენ. ათისთვინ რომ მითქვამს, ცხრაზე გაუჭრია, მეათე კი უსისხლოდაც მომიდრეკია და კიდევაც მოვდრეკავ. იცოდეთ, ძმებო, რომ გამძლეობა და შეუპოვრობა ვაუკაცობაზე უფრო ძნელი საქმეა. — არსენამ იყუჩა და მერმე თავჩაღუნულ ლაცაბიძეს მიუბრუნდა: — შენ რას იტყვი, სევასტი?

— აფერს, — მოკლედ მოუჭრა ლაცაბიძემ.

— მაშ ჩერ სისხლს მოვერიდოთ, ხალხი მოვამზადოთ და მერე ჩავუჭროლოთ. გადაჭრილია? — იკითხა ოძელაშვილმა.


— გადაჭრილია, გადაჭრილი! — დაიძახა უმეტესობამ.

მხოლოდ შვიდი რაზმელი სდუმდა: სევასტი, კარპიჩა, მაგდანა, დალი ჰასანი და სამი ახალმოსული.

— ძმებო, ესლა დროშის საქმეც გადაჭრათ, — და არსენამ უძველესი მეწინავე დროშა გაშალა. — ამ დროშის აშბავი ყველას ეცოდინება. ჩვენს წინაპრებს ეს დროშა იმდენი უთრევიათ და მისი გულისთვის იმდენი სისხლი დაუღვრიათ, რომ იმ სისხლში ქალაქიც კი დაიხრჩობოდა. მაგრამ თვითონ დროშაც დაძველდა და მისი მეთაური თავადობაც დაბერდა. ახლა ამ დროშას ჩვენ უნდა მოვუაროთ. ძველზე ახალი წავაწეროთ და პირნათლად ვატაროთ. შეთავსდების თუ არა ძველი და ახალი?

— ჰაი, ჰაი, რომ შეთავსდების, — იგრიალეს ტყის ძმებმა.

— ოღონდაც რომ შეთავსდების! — დაუბეჭდა ოძელაშვილმაც. — ძველისაგან ვარგისს ვისესხებთ. უვარგისს მოვიშორებთ. ახალს დავუმატებთ და ასე ვივლით და ვატარებთ. ამ დროშაზე ასე წერია, — და ფორხილით წაიკითხა: — „დაიცავი კარი ჩემი, უფალო, და ციხე ჩემი





მარად ჰყავს. მოდიო, ძმებო, ახლა ასე დავაწეროთ: ძმობა, შრომა, მიწა, თავისუფლება, თანასწორობა და პატიოსნება. ჩვენს კარებს იმათ ხმა-ლზე უფრო უკეთ დაიცავს. რას იტყვი, ძმებო, ივარგებს თუ არა?

— ივარგებს! კარგია! — მიაძახეს ყოველი მხრივ.  
შენ რას იტყვი, სევასტი? ხელახლა ჰკითხა ბელადმა. დილას თათბირის დროს მან თავისი ჯგუფის სახელით ასეთი წარწერა მოითხოვა: „სიკვდილი ყველა წურბელას და გაუმარჯოს თავისუფლებას“. მაგრამ მხარი არ დაუჭირეს და ვერ გაიტანა. სევასტი, იტყვი რამეს თუ... ხელმეორედ ჰკითხა არსენამ.

— აფერს, ისევ მოსკრა ლაცა-ბიძემ და წვერი ჩაიფარცხა.  
— მაშ დააწერე, ზურა, უთხრა ჯაბუქს ბელადმა და, სანამ ზურა მიწაზე გაშლილ დროშას ბატის ფრთით აწვალებდა, არსენამ დაიძახა:

— ერთიცა და გათავდა. ძმებო, მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ჩვენ ღვიძლ ძმებზე უფრო ერთგული ძმები ვართ. მაგრამ ჯერ ძმობია ფიცი არ დაგვიდვია. დაგვიანებამ არავის არ აგნო, რადგან ერთმანეთი უფრო აარგად გამოვცადეთ. ძმებო, დროა თუ არა ფიცი დავდოთ? ხართ თუ არა ზიარი?

— დროა, დრო! ზიარი ვართ, ზიარი! — და ყველანი წამოიშალნენ.

— მაშ შევუდგეთ! — სთქვა არსენამ და თავის ცოლს მიუბრუნდა: მარინე, გენაცვალე, მგონი რძე გაქვს და ცოტათღინი მოიწველე. ფიქრიავ, შენ აიაზმის წყალი და სეფისკვერი მოიტანე.

მარინემ ჯამი აიღო და ფოთლიანში მიიძალა. სანამ ზურა ანწლის მელნით ძველ აბრეშუმს სთხუნნიდა და არსენას ცოლი კი ბუჩქებში ღრძენს იწველიდა, ბელადმა ხელი დაიბანა, მერმე სეფისკვერი აიღო და აიაზმის წყალში ჩასჭრა. მარინემ თავისი რძე — რძის მსგავსი სითხე ფიქრიას მიაწოდა თასით, თვითონ კი პირი მიიბრუნა და გაწითლდა. არსენამ ღრძენი საერთო ჯამში ჩაასხა, ზედ ვერცხლი დაათალა, ცოტა მიწაც დააყოლა, ცვილის სანთელი აანთო, დროშა აღძრათა, პირჯვარი გადაიწერა, თითი ასწია და ქუდმოხდილ ბანაკს საზეიმოდ ხმით მიჰპარათა:

— ძმებო, მე ვიტყვი და თქვენცა სთქვით, — და შერწმენილი ხმით დაიწყო: — ღმერთო დიდებულო, რომელიცა ხარ ცათა შინა...

— რომელიცა ხარ ცათა შინა... ჩაიფუტუნა ბანაკმაც. — ბოლჩისის, ახტალის, კაბენის,

თელეთის, მცხეთისა და ალავერდის ანგელოზებო და ხატებო...

— ანგელოზებო და ხატებო, — მისდევდა მას რაზმის ხმაც.

— თქვენ აკურთხეთ ჩვენი წმინდა საქმე, დაგვეხმარებით და მოწმედ დაგვიდექით, რომ ძმებად ვიფიციებთ და გულში ერთმანეთის სიყვარულის მეტი აღარაფერი არა გვაქვს.

— ... არა გვაქვს, — დაუდასტურა კლდემ რაზმის გამოძახილი.

— ვფიცავ მალა ღმერთს და ძირს ჩემს პატიოსნებას, ცოლშვილს. დედ-მამას, ნამუსს... ყველა ხატსა და ნათელ-მირონს, რომ ვისაც ახლა ვეფიცები, იმას ძმად გავიხდი... იმის პირს ჩემს პირად მივიჩნევ და იმის მტერს ჩემ მტრად ჩავთვლი... მეფესა და ბატონს ომს ვუცხადებ და სანამდის სული მიდგა, შეუპოვრად ვიომებ... სიმართლეს შევიყვარებ და უსამართლობას შევიძულებ. მდიდარს წავართმევ და ღარიბს დავუბრუნებ... გლახაკს შევიყვარებ, ქვრივს ვუშველი, საწყალს გამოვესარჩლები და ობოლს არავის არ დავაჩავკრინებ... ვფიცავ და, ვინც უღალატოს, შხამად შეერგოს დედის რძე, დედა შეერთოს ცოლად... იმის ოჯახს და საქონელს პირი შეეჩვიოს და აღარ გავიდეს... დაკუტდეს და ველარ გასწორდეს... აღარც მიწამ მიიღოს და არცა ზეცამა... დამუხჯდეს, დაყრუდეს, დაბრმავდეს, პირშავად იაროს და შავი სული არასოდეს აღარ გასძვრეს... ყველა ხიდი ჩაუტყდეს, კლდე დაეცეს, მიწა გაუსკდეს... სწყუროდეს და ველარ დალიოს, ჰშიოდეს და ველარ სჭამოს... ნადირს შეჭვადეს და მოღუნდეს, მტერი დაუხვდეს და ხმალი ვადაში გადაუტყდეს.

— გადაუტყდეს! — დაუბრუნა კლდემ გამოძახილი.

— ამინ!

— ამინ! — იხუვლა ბანაკმაც, რომელმაც თავისი ბელადისაგან იმ დღესაც ძლიერი სულიერი, საფუფარო მიიღო და მზად იყო თუნდ ახლავე მიეტანა იერიში ქალაქზე, ყველა ბატონზე და პეტერბურგსაც კი მიჰსეოდა.

ყველა რაზმელი რიგ-რიგად ემთხვია დროშას, მერმე ბელადი დაჰკოცნა. შემდეგ მოწიწებით შესქამა აიაზმით გაქედნილი სეფისკვერი, ცურათითი ანწლის მელანში შეითხუნა და დროშას „მიაწერა“ — იგი თითო დაბეჭდა — და ბოლოს ყოველ რაზმელს ტყვია გაუცვალა და ერთხელ კიდევ ჩაეხუტა.



პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი ნათელა ფაილოძე

# ია და ოლიკო

იასა და ოლიკოს სკოლაში ყველა იცნობს და პატივს სცემს, — 67-ე საშუალო სკოლის ყველაზე ყოჩაღი მოსწავლეები არიანო, — ამბობენ მათზე კიროვის რაიონში.

ია რუხაძე წლების მანძილზე მეთათურობდა ამ სკოლის რაზმეულს. გონივრულად უძღვებოდა პიონერულ აქტივს, ამასთან ერთად იყო თბილისის პიონერთა საქალაქო შტაბის „კოკონის“ წევრი.

ამ გაზაფხულზე იას 14 წელი შეუსრულდა, რაზმეულის საბჭომ კომკავშირის რიგებში შესასვლელად მას კარგი რეკომენდაცია მისცა, მალე კი სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება ჩატარდა, რომელზედაც იგი კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს.

— ვიცნობთ, საქმის კარგი ორგანიზატორია, კარგი ამხანაგია, მასთან მუშაობა სახალისოაო, — დაახასიათეს თანასკოლელებმა გოგონა.

ასე გახდა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე სკოლის კომკავშირელთა წინამძღოლი, ხოლო პიონერთა საქალაქო შტაბის წევრი — კომკავშირელთა საქალაქო შტაბის წევრი. ამ გაზაფხულზე კი საანგარიშო-საარჩევნო შეკრებაზე რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარედ იას უმცროსი და, შეექმსეკლასელი ოლიკო რუხაძე აირჩიეს, ისიც ყოჩაღი გოგონაა.



გაბედული, პრინციპული, მეგობრული, საზოგადოებრივი დავალებების უყოყმანო შემსრულებელი...

მერე ის იყო, რომ ოლიკომ იას დახმარებით სექტემბრიდანვე კარგად ააწყო სკოლის პიონერულ აქტივთან ურთიერთობა, ყველამ აღნიშნა, — ისე, როგორც ადრე იამ, ოლიკომაც ყოჩაღად მოჰქიდა საქმეს ხელით.

შინაც, როგორც კი ვაკვეთილების მომზადებას მორჩებიან გოგონები, ერთი — რაზმეულის საქმეებს ჩაპკირკიტებს, მეორე კი — კომკავშირის კომიტეტისას. საქმეშიც მეგობრობენ, — რჩევას ერთმანეთს ეკითხებიან.

დღეს ია და ოლიკო „კოცონის“ სტუმრები არიან. პოდა, სიტყვაც მათ ეუთვნით.

**რაზმეულის საგონო თავგადასავალი:**

— იამ სექტემბერშივე გამოუყო ყველა რაზმს კომკავშირელი რაზმის ხელმძღვანელები. სწორედ ამ ხელმძღვანელებმა გააცნეს პიონერებს პიონერთა VIII საკავშირო და საქართველოს პიონერთა XII შეკრებების დავალებები, ესაუბრნენ მათ პიონერთა კონკრეტულ წვლილზე XI ხუთწლედის განვლილი პერიოდის საქმეებში. ამის შემდეგ იყო. აკოლაში თვალსაჩინო ადგილზე რომ გააკრეს რაზმეულის პიონერული საქმეების ხუთწლედის გეგმა.

**კომკავშირის კომიტეტის აღიზანი:**

— რაზმეულის საბჭომ და კომკავშირის კომიტეტმა წლევანდელი ერთობლივი მუშაობა საკავშირო პიონერული მარშის სვლაგეზების გადათვალისწინებით დავიწყეთ, შემდეგ კი, აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, საინტერესოდ შევადგინოთ თითოეული რაზმის სამუშაო გეგმა.

**რაზმეულის საგონო თავგადასავალი:**

— ია პიონერული აქტივის სკოლის პირველი და მეორე მეცადინეობის ჩატარებაშიც მამხმარა. ამ სკოლის მეცადინეობა ჩვენთან ზეიმად იქცევა ხოლმე, რადგან აქ აქტივი ყოველთვის რაღაც ახალს იძენს და თავის რაზმსა თუ რგოლში ხელცარიელი არ ბრუნდება. ამას გარდა, იამ თავისებური კონკურსიც ჩაატარა, — პიონერული აქტივის მეცადინეობაზე აქტივისტებს დააწერინა თავისუფალი თემა: — „რა ვიცი პიონერული ორგანიზაციის შესახებ?“ ჩვენს სკოლაში პიონერებს ეს თე-

მა იმდენად მოეწონათ, რომ ბევრ სხვა რაზმშიც დაიწერა ამგვარი თხზულებები. ეს უკვე აქტივისტებმა გააკეთეს, მათი ნამუშევრები კი რაზმეულის საბჭოში შევკრიბეთ და გულდასმით გადავიკითხეთ. აღმოჩნდა, რომ ბევრმა არ იცის საკავშირო ლენინური პიონერული ორგანიზაციის სამოცწლიანი, განვლილი გზის ყველა ეტაპი და ბევრი მნიშვნელოვანი საკითხიც. ამის შეტყობამ გადაგვაწყვეტინა, რომ პიონერული აქტივის შემდეგ მეცადინეობებზე განსაკუთრებით ამ მიმართულებებზე გავამახვილოთ ყურადღება.

**კომკავშირის კომიტეტის აღიზანი:**

— კომკავშირელების დახმარებით ჩვენი სკოლის პიონერები აქტიურად ჩავაბით კიროვის რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში — წავიყვანეთ ისინი ფაბრიკა „ამირანში“, გავაცანით ფაბრიკის კომკავშირელები; გამოცოცხლდა წითელკვალმაძიებე-



მელა შენგელია

ლთა საბჭოს მუშაობაც. ყველამ ვიცოდით, რომ ჩვენი სკოლის შენობა ომის წლებში სამხედრო ჰოსპიტალს დაეთმო, ნორჩმა კვალისმაძიებლებმა მიაგნეს იმ დაჭრილთა სიას, რომლებიც აქ მკურნალობდნენ, ახლა პიონერები მათ კვალზე დგანან, — ვეტერანებს ეძებენ, მათ ცხოვრებას ეცნობიან.

კომკავშირის კომიტეტი ეხმარება რაზმეულის საბჭოს იმ ვალდებულებათა შესრულებაშიც, რომლებიც მან 2 ოქტომბერს საკავშირო რადიოხაზზე აიღო.

...კომკავშირის კიროვის რაიონის პირველი მდივნის დავალებას მთელი გულით ვასრულებ. მახსოვს, როცა მან კომკავშირული ბილეთი გადმომცა, ასე დამარია: ია, აბა შენ იცი, მშობლიურ სკოლას რა კომკავშირულ ღირსეულ ცვლას მოუშადავბო, და მეც ვცდილობ...

**მელა შენგელია**

დედაქალაქის უფროს პიონერხელმძღვანელთა შორის მედეა შენგელია ერთ-ერთი საუკეთესოა. იასა და ოლიკოს სტუმრობის დღეს, „კოცონში“ ისიც შემოგვესწრო და თავისი სკოლის პიონერული აქტივიც გავაცნო:

— 114-ე სკოლის პიონერები დღეს თამამად მიაბიჯებენ პიონერთა საკავშირო მარშის სვლაგეზებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია რაზმეულის მეგობრობა ელმავალმშენებელი ქარხნის მუშებთან. 28 წლის მანძილზე ქარხნისა და რაზმეულის ურთიერთობამ ვინ იცის, რამდენი ლამაზი ფურცელი ჩაწერა ნორჩ ლენინელთა ცხოვრებაში.

სკოლის პიონერები პიონერული აქტივის მეთაურობით კვირაში ერთ დღეს ქარხნის საამქროებში შრომობენ, ეცნობიან ელექტროინჟინერს, ლაბორანტის, მხაზველის სპეციალობებს, ქარხნის ახალგაზრდები — კომკავშირულ-პედაგოგიური რაზმის წევრები ჩვენი სკოლის პიონერულ რაზმებს ხელმძღვანელობენ.

ყოჩაღი გოგონაა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე დალი პაპავა. იგი ჩემი მარჯვენა ხელია. დალი მარჯვედ წარმართ. აქტივთან მუშაობას წლეულს სიახლეც გვაქვს: IX ბ კლასის მოსწავლეები, გარდა იმისა, რომ უკვე ყველა კომკავშირელია, რაზმის ხელმძღვანელებადაც მუშაობენ. საკავშირო პიონერული ორგანიზაციის მე-60 წლისთავის შესახებ დავადაც მათი აქტიური დახმარებით ვემზადებით.

წლეულს თბილისის ლენინის რაიონში ერთ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი — ყოველი თვის მეორე სამუშაოთი მთელ რაიონში პიონერული აქტივის სკოლის მეცადინეობის დღედ არის გამოცხადებული. მიხარია, რომ სხვა სკოლების პიონერულ აქტივთან ერთად ჩვენი რაზმეულიც მოუთმენლად ელოდება ხოლმე ამ დღეს...





საქართველო ჰყვია



ნორა კორასკოვლანთა ჟურნალი № 11

ქანდაკრა

ძველად თურმე ჩვენს სოფელში იდგა დიდი მუხა. მუხა ძალიან იყო მობერებული, მას სახელად ყანდას ეძახდნენ. მუხის ქვეშ კი წყალი ამოდიოდა. ძალიან ცივი წყალი იყო, მთელ სოფელს წყურვილს უკლავდა. ყანდა კი სიბერით ხმებოდა. სოფელში გადაწყვიტეს, ამოვიძირკვით. დაეჭიდნენ ვაჟკაცები მუხას, მაგრამ ძვრაც ვერ უყვეს. ერთმა ბრძენმა მოხუცმა ურჩია ხალხს: მუხას თოკი ძირში მოაბით, მთელმა სოფელმა გასწიეთ და ფესვიანად მოითხრებო. სოფელიც ასე მოიქცა და მუხა რომ ამოთხარეს, ყველამ შევებით ამოიძახა: „ყანდა ურაო“, ესე იგი ყანდა ამოვიძირკვეთო. სწორედ ამ ამბის გამო დაერქვა თურმე ჩვენს სოფელს ყანდაურა.

კათინო ჯავახიშვილი,  
საგარეჯო, ყანდაურის საშუალო  
სკოლა, VIII კლასი.

ლოდი

ტრიალ მინდორში ერთი მოზრადილი ლოდი იდო განმარტოებით. იდო და სევდიანი თვალებით მისჩერებოდა გარემოს. ახლოს არავინ ეკარებოდა, მის ირგვლივ ბალახის ღერსაც კი ვერ დინახავდით.

ქვა და ქვის გული აქვს, — იტყოდნენ ხოლმე მინდვრის ყვავილები. — აბა, მის გვერდით ყოფნა ვის ეხალისება!

ესმოდა ლოდს ეს სიტყვები და უფრო საცოდავი შესახედავი ხდებოდა.

განა მართლა გულქვა იყო, განა მასაც არ სურდა ეცინა, ემღერა, ემხიარულა... მაგრამ რა ექნა, როცა ბუნებამ ამისი უნარი არ უბოძა. მხოლოდ ტირილი შეეძლო, უხმო ტირილი. ცრემლებით დედის მკერდს ასველებდა. მიწა იყო მისი დედა. მიწა ხომ ყველას დედაა. მხოლოდ დედას ესმოდა ლოდის გულისტკივილი, მხოლოდ დედის ნუგეშიანი ჩურჩული აქარებდა სიტყვაუთქმელი შვილის დარდას და ნალევს.

ია ფილავილი,  
თბილისის 101-ე საშუალო  
სკოლა, X კლასი.

ჩემი სოფლის ორღობებს, გზებს — გაჭიმულს ლარად, ბუმბერაზი მთის ანც სიოს, ჩამონაქროლს ბარად, სალ კლდეებად აზიდულ უზარმაზარ ლოდებს, თეთრი, ნაზი გვირილის ცვარშეუშრობ ფოთლებს, მოდუღუნე ალაზანს, მტკვარს, თერგსა და რიონს, სვეტიცხოვლის ზარებს და ამაყ კავკასიონს, ზღვის ქოჩორა ტალღებს, ნაპირებს რომ ლოკავს, ავდრის დროს რომ ბრაზდება, რომ ლელავს და ბორგავს. იალალზე გადმოდგარ „მთასა მყვირალ“ ირემს, მზის ღიმილით მოხიბლულ პანანინა იებს. ციტრუსებით შეფენილ გორის დამრეც ფერდებს, მზესთან სტუმრად გაფრენილ თეთრ, ქათქათა მტრედებს. ნამდვილ კახურ ღვინოს და მსხმოიარე ვაზებს, მუხის ხისგან გამოთლილ პანანინა აკვნებს. მთიდან ქვემოთ, ბარისკენ ჩამონაბერ ნიავს, — ყველაფერს ამას ერთად საქართველო ჰყვია.

მაია მამაგულაშვილი,  
ყვარელი, ენისელის საშუალო  
სკოლა, VIII კლასი.

მზვიდობით, სკოლაჲ!

დამთავრდაო გაკვეთილები — ის მის ზარის წკრიალა ხმა.

ეს ზარი უკანასკნელია მათთვის... მეათეკლასელებისათვის. საცაა, ისინი სკოლას დაამთავრებენ და გავლენ ცხოვრების ასპარეზზე...

წინ კი გამოცდებია, გამოცდები...

ახლა, როდესაც ჩაესმით უკანასკნელი ზარის საამური ხმა, გული სწყდებათ, რომ ეს წკრიალი საბოლოოა მათთვის... გული სწყდებათ, რომ ტოვებენ მშობლიურ სკოლას, ბავშვობას, საყვარელ პედაგოგ-აღმზრდელებს... ემშვიდობებიან მათ, ეინც აუხილა თვალი, ასწავლა და შეაყვარა წიგნი — ცოდნის წყარო, სიცოცხლე და სილამაზე. სკოლაში ასწავლეს ამხანაგისა და მეგობრის დაფასება და პატივისცემა, თანაგრძნობა და სიყვარული.

ასენდებათ სკოლაში გატარებულ იწლები... ათი წელიწადი... იცით, ეს ათი წელიწადი რა ათი წელიწადია?! ეს ის ათი წელიწადია, როცა ისინი გულმოდგინედ ეუფლებოდნენ ცოდნას, საფუძველს უყრიდნენ თავიანთ მომავალ ცხოვრებას, სწავლობდნენ დედანისა და ეროვნული კულტურის, მშობლიური მიწა-წყლისა და ტრადიციების დაფასებასა და სიყვარულს, პრინციპულობასა და სიმტკიცეს, სიამაყისა და გმირობის უმაღლეს ღირებულებას.

მათ ბევრი რამ შეისწავლეს ამ ათ წელიწადში, ძალიან ბევრი...

განა შეიძლება დაივიწყო მხიარული ბავშვობა? ან სკოლაში გატარებული ხალისიანი და სიხარულით აღსავსე წლები? არა, არ შეიძლება, რადგან „ბავშვობა არის სიამე, სევდის გაქრობა, ცრემლის დაშრობა: სწავლა, მზადება ხალისიანი — აი, რა არის შენი ბავშვობა!“

ჩაესმით რა გულში ჩამწვდომი ზარის ხმა, გულდაწყვეტილნი, დალონებულნი ჩურჩულებენ მეათეკლასელები: „მშვიდობით, ბავშვობაჲ!“, „მშვიდობით, მასწავლებელო!“, „მშვიდობით, სკოლაჲ!“

მუშუნა რანრაბამ,  
დუშეთი, ანანურის საშუალო  
სკოლა, IX კლასი.

დადიკურთას

მომწონხარ, დადიკურთაო, იალალ-მთავორიანო, გიყურებ აღფრთოვანებით, წყაროებ-ნაყურნიანო.

წინ რომ მთა შემოგყუდებავ — იქ შურთხებს გააქვთ ფრთხილი... ეგრე ლამაზი სოფელი რად მიატოვეს ნეტავი?

ელინო გოჩილაძე,  
ახმეტა, ქვემო ალვანი,  
VI კლასი.





# შაქონის ქული

მოთხრობა

სასტუმროს ღამის მორიგე ფრჩხილებმოკვნილი თითი სარეგისტრაციო წიგნის ჩანაწერებს გააყოლა და მხრები აიჩეჩა: სინანული გამოხატა.

— ეს ერთადერთი შესაძლებლობაა, — თქვა მან. — ასე გვიან ვერსად იშვით ერთადგილიან ნომერს. რასაკვირველია, შეგიძლიათ მიმართოთ სხვა სასტუმროებს, მაგრამ ერთს გეტყვით: როცა ამოიღებნის შემდეგ ისევ ჩვენთან დაბრუნდებით, უკვე ველარ გაგიწევთ სამსახურს. ამჟამად ორადგილიან ნომერში თავისუფალია საწოლი, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, მალე დაიკავებენ...

— კარგი, — დაეთანხმა შვამი, — თანახმა ვარ. ოღონდ, იმედი მაქვს გამოვებთ, მინდა ვიცოდე, ვინ ცხოვრობს იმ ნომერში, ვისთან ერთად ვავიყოფ ნომერს. კი არაფრის მეშინია, რასაკვირველია. ან რის უნდა მეშინოდეს? მაგრამ მითხარით, ჩემი პარტნიორი (ვგონებ, ვის გვერდითაც დამეს გაატარებ, შეიძლება პარტნიორი უწოდო) უკვე იქ არის?

— დიახ, ნომერშია და ალბათ სძინავს.

— მაშ, სძინავს, — გაიმეორა შვამმა, შეავსო სარეგისტრაციო ბლანკი და მალა ავიდა.

იმ კართან მიახლოებისას, რომელზედაც მისთვის საჭირო ნომერი ეწერა, შვამი შეჩერდა, სუნთქვა შეიკავა, რამე ხმაური თუ ისმისო შეგინიდან. გასაღების ხერტიდანაც შეიჭვრიტა. ოთახში ბნელოდა. სწორედ ამ დროს ნაბიჯების ხმა მოისმა — ვიღაც კიბეზე ამოდიოდა. რასაკვირველია, შვამს შეეძლო გზის გაგრძელება, აქაოდა კარი შემეშალაო, შეეძლო აგრეთვე ოთახში შესვლაო, სადაც კანონით ადგილი ეკუთვნოდა და სადაც მეორე საწოლზე სრულიად უცნობი ვიღაცას ეძინა.

შვამმა სახელური დასწია, ოთახში შევიდა, კარი მოხურა, კედელზე ხელი მოაფათურა ჩამრთველის პოვნის მიზნით და უცებ შეკრთა: თითქმის მის გვერდით (იქ ალბათ ერთ-ერთი საწოლი იდგა) ვიღაცამ ყრუ, მაგრამ კატეგორიული ხმით თქვა:

— შეჩერდი! გეთაყვა, ნუ ჩართავთ სინათლეს, თუ შეიძლება...

— მელოდებოდით? — იკითხა შეშინებულმა შვამმა, მაგრამ პასუხად უცნობისაგან სხვა რამ მოისმინა:

— არ წამოედოთ ჩემს ყავარჩნებს, ფრთხილად იყავით... ჩემოდანსაც მოერიდეთ, დაახლოებით შუა ოთახში დევს. ახლავე ავიხსნით, როგორ მიაღწიოთ თქვენს სა-

წოლამდე: კედლის გასწვრივ გადღვით სამი ნაბიჯი, შემდეგ შემობრუნდით მარცხნივ და როცა კიდე გავლით სამ ნაბიჯს, საწოლის ზურგიც იქვე იქნება...

შვამი ასეც მოიქცა, საწოლზე ჩამოჯდა, გაიხადა და საბნის ქვეშ შეწვა. საღაღაც ახლო მეზობლის სუნთქვა ესმოდა. იცოდა, რომ კარგა ხანს ვერ დაიძინებდა.

— კაცმა რომ თქვას, — ცოტა ხნის შემდეგ გაუბედავად დაიწყო, — მე შვამი მჭევია...

— აჰა, — უბასუხა უცნობმა.

— დიახ.

— თქვენ კონგრესზე ჩამობრძანდით?

— არა. თქვენ?

— არც მე.

— მაშ, საქმეებზე?

— არა, მთლად ასეც არ არის...

— მე კი, თქვენ წარმოიდგინეთ, უცნაური მიზეზი მაქვს ამ ქალაქში ჩამოსვლისა, ისეთი, რომ აზრადაც არავის მოუვა, — განაცხადა შვამმა.

ფანჯრიდან ორთქლმავლის ქშენა და რახრახი შემოდიოდა, მიწა ზანზარებდა და საწოლებიც კი, რომლებზედაც მამაკაცები იწვნენ, ირყეოდა.

— თქვენ ამ ქალაქში თავის მოსაკლავად ხომ არ ჩამოსულხართ? — შეეკითხა უცნობი.

— არა, — გაიკვირვა შვამმა, — ვითომ ვგავარ ასეთ კაცს?

— ვის ჰგავხართ, არ ვიცი, — ჩაიცინა მისმა მოსაუბრემ. — აქ ბნელა...

შვამმა ნაძალადევი მხიარულებით განუმარტა:

— ღმერთმა დამიფაროს... აქ ვაეი მყავს, ჰერ... (უცნობს თავისი სახელი არ უთქვამს). ჯერ პატარაა. მისი გულისთვის ჩამოვედი.

— საავადმყოფოში წევს?

— არა, რატომ? ჩანმრთელი ბიჭია. მართალია, ცოტა ფერმკრთალია, მაგრამ ჩანმრთელია. თუმცა,

მაინც მინდა ავიხსნათ, თუ რატომ ვარ აქ, თქვენს გვერდით, ამ ოთახში... ჩემი ვაჟი როგორღაც მეტისმეტად მგრძობიარეა, აი, მიმოხსავით, რომელიც, ჩრდილი დაეცემა თუ არა, მაშინვე ფოთლებს კეცავს და ძილისთვის ემზადება...

— მაშ, მაინც საავადმყოფოში ყოფილა.

— არა, — წამოიძახა შვამმა, — აკი გითხარით, რომ სავსებით ჩანმრთელია. მაგრამ მაინც საფრთხე ემუქრება, ამ ბიჭუნას საოცრად ფაქიზი სული აქვს, ეს კი ფრიალ საშიშია.

— იქნებ მისთვის ჯობდეს, თავი მოიკლას?

— მოიცათ, მომისმინეთ! ის ხომ სულ ბავშვია, ჯერ პატარაა! რა საჭიროა ასეთი ლაპარაკი? ახლავე ავიხსნით, რაც მაშინებს: ყოველ დილით სკოლისაკენ მიმავალი ჩემი ბიჭუნა (ის კი ყოველთვის მარტო დიდის) ჩერდება შლაგაუმიდან და ელოდება, როდის გაივლის ჩქარი მატარებელი. დგას ეს ერთი ციციქნა ბიჭი და ხელს უქნევს მგზავრებს, უქნევს ენერგიულად, ალერსიანად, ყინით...

— მერე?

— რა მერე, — ხელი ჩაიქნია შვამმა, — მერე მიდის სკოლაში... შინ კი აღელვებული, დაბნეული ბრუნდება, ზოგჯერ კიდეც ტირის ხოლმე, ვერც საშინაო დავალებას ასრულებს. არც თამაშისა და ლაპარაკის ხალისი აქვს. ასეა უკვე აგერ მერამდენე თვეა... ეს მომიკლავს... ეს მომიკლავს ბიჭუნას...

— მაინც ვერ გავიგე, რატომ?


— იცით რა, — დაბალი ხმით წარმოთქვა შვამმა. — საქმე ის არის, რომ ბიჭი მგზავრებს ხელს უქნევს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ კადრულობს საპასუხოდ ხელის დაქნევას. ეს კი ბიჭს ისე ახლოს მიაქვს გულთან, რომ ჩვენ, ჩემს ცოლსა და მე, ძალიან გვაშინებს ეს ამბავი. ხელს უქნევს, მას კი არავინ პასუხობს... რასაკვირველია, მგზავრებს ამას ვერ დააძალებ, სასაცილოც კი იქნებოდა ამის მოთხოვნა, მაგრამ...

— ესე იგი, ბატონო შვამ, თქვენ გინდათ შეუმსუბუქოთ განცდები თქვენს ვაჟს, ამ მიზნით ჩაიაროთ მატარებლით და ხელი დაუქნიოთ მას, ხომ?

— დიახ, — ჩაიხურჩულა შვამმა, — დიახ...

— მე კი, — თქვა უცნობმა. — ბავშვები არ მიყვარს. ისინი მეჩაგრებიან და ვცდილობ ახასოღეს ვი-





ქონიო მათთან ურთიერთობა, რადგან სწორედ მაგათ გამო დავკარგე მეუღლე: იგი პირველმა მშობიარობამ შეიწირა...

— ძალიან ვწუხვარ, — ჩაილაპარაკა შვამმა და კედლისაკენ გადაბრუნდა. მას სიამოვნებდა, რომ ყველაფერი თქვა და ახლა შეძლებდა დაძინებას...

უცნობმა ჰკითხა:

— მაშ თქვენ ხვალ კურცხანში წახვალთ, ხომ?

— დიახ.

— და არაფერი გაწუხებთ? პირდაპირ გეტყვი: არა გრცხვენიათ, რომ ბავშვს ატყუებთ? მერწმუნეთ,

ის. რაც თქვენ ჩაიფიქრეთ, მოტყუებაა, და ნუ დამიწყებთ ამაზე კამათს.

— კი მაგრამ, თქვენ ბევრის უფლებას აძლევთ თავს, გეთაყვა! როგორ კადრულობთ ამას! — აღშფოთდა შვამი, თავზე საბანი გადაიფარა, ერთხანს იწვა ფიქრებში წასული, შემდეგ ჩაეძინა.

დილით ოთახში მეზობელი არ დახვედრია. საათს დახედა და გულმა რეჩხი უყო: კურცხანის მატარებლის გასვლამდე ხუთი წუთი რჩებოდა, უკვე ველარაფრით ვერ მიუსწრებდა...

შვამს ქალაქში კიდევ ერთი დამით დარჩენა არ შეეძლო და ნაშუა-

დღევს დაღონებული და მწუხარე დაბრუნდა შინ.

კარი ვაჟმა გაუღო, ბედნიერი და აღფრთოვანებული ბიჭუნა ყვირლით მივარდა მამას:

— ერთმა დამიქნია ხელი, იცი, რამდენ ხანს მიქნევდა?!

— ყავარჯნიანი ხომ არ იყო? იკითხა შვამმა.

— დიახ, რალაცნაირი ჯოხი ჰქონდა. ჯერ ხელი მიქნია, მერე იმ ჯოხს ცხვირსახოცი გამოაბა, გამოყო ფანჯრიდან და ასე ეჭირა, სანამ მატარებელი სულ არ მიეფარა თვალს!..



ძველ დროში ცხოველებს ქაო-სურ, არაორგანიზებულ არსებებად თვლიდნენ, სინამდვილეში კი მათ სამყაროსაც მკაცრი წესრიგი განა-გებს. ეს წესრიგი იერარქიაზე ანუ უფროს-უმცროსობაზეა აგებული. ცხოველები თავგამოდებით იცავენ თავიანთ ადგილს თანასაზოგადოე-ბებში, თავიანთ უფლებებს საპირის-პირო სქესის ინდივიდებზე, სა-არსებო ტერიტორიაზე და ა. შ. არც-თუ ისე დიდი ხნის წინათ დადგინ-და, რომ უფრო-უმცროსობის კანონი გავრცელებულია განვითარების სრუ-ლიად სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ცხოველებს, მათ შორის მწერებს შორისაც.

მკაფიოდ არის იგი გამოხატული კიბორჩხალებში: რამდენიმე ინდი-ვიდს შორის გაბატონებული მდგო-მარეობის მოსაპოვებლად კიბორ-ჩხალები თავს ესხმიან ერთმანეთს — ჯერ მალა აღმართული მარწუ-ხებით ემუქრებიან, შემდეგ უთავა-ზებენ კიდევ, რის შემდეგაც დამარ-ცხებული უკან იხევენ. ორთაბრძო-ლისას მნიშვნელობა აქვს ფსიქო-ლოგიურ ფაქტორსაც: იერარქიის დაბალ საფეხურზე მდგომი კიბო-რჩხალა სწრაფად ემორჩილება უფ-რო ძლიერს.

იერარქია არსებობს ცხოველთა ევოლუციის სხვადასხვა დონეზე-კერძოდ, თევზების ზოგიერთ სახეო-ბაში „ბატონყმობის“ რთული „ინს-ტიტუტი“ იქმნება, ეს კი იმაზე მეტ-ყველებს, რომ ამ ცხოველებს შეუძ-ლიათ თანამოგვარეთა ინდივიდუა-ლური ნიშნებისა და რანგის დამა-სხვოვება, თუმცა ეს უნარი თევზებ-ში ფრთოსნებთან შედარებით, ნა-ლებად გამოხატულია.

ინდოეთისა და ცეილონის ტბებ-ში ბინადრობს მომცრო ზომის თევ-ზი — დანიო მალაბარიკუსი. ამ სა-ხეობის თევზები ცხოვრობენ პატარ-პატარა ოჯახებად, სადაც ათამდე ინ-დივიდი გაერთიანებული. ოჯახებში მკაცრი სუბორდინაციაა დაცული.

მიუხედავად ამისა, ყველას აქვს თავისი განმასხვავებელი ნიშანი. თევზების „წესდების“ თანახმად, უფროს-უმცროსობის მცირეოდენი დარღვევის შემთხვევაშიაც რანგით უფროსი ფარგლების დარტყმით უსწორდება უმცროსს.

ტბაში დანიოს თითოეულ ოჯახს აქვს კუთვნილი ტერიტორია, რო-მელსაც ერთგულად იცავენ სხვა თევზებისაგან. ერთი ოჯახის წილი ტერიტორიაც ნაკვეთებადაა დაყო-ფილი: წინამძღოლს ტერიტორიის



# საქართველოს ენციკლო- პედია საზოგადოებრივი მეცნიერებათა და ზოგადი მეცნიერებათა სექციის მუშაობის შედეგად

ცენტრში გამოყოფილი აქვს საუკე-თესო — ყველაზე დიდი და დაცუ-ლი ნაკვეთი. „დაქვემდებარებულთა“ „კარმიდამოები“ შედარებით პატა-რაა და ყველაზე სასიფათო, თანაც მტრისათვის ადვილად მისაწვდომ პერიფერიულ ადგილებშია განლა-გებული. რანგით მაღალს ყოველ-თვის შეუძლია, დაუსჯელად ისეირ-ნოს „ხელქვეითთა“ ნაკვეთებში. უმ-ცროსებს კი უფროსთა სამფლობე-ლოში გასეირნების ნება არა აქვთ.

ოჯახის თითოეული წევრი თავის რანგს სხეულის მდებარეობით „გა-მოხატავს“, უფროს თევზს თითქმის ჰორიზონტალური მდებარეობა უკა-ვია, დანარჩენები კი ჰორიზონტის ხაზთან მკაცრად განსაზღვრული კუ-თხით დგანან, ან თავი აქვთ აწეული და ბოლო დაწეული, ანდა — პირი-ქით.

ერთმა ბიოლოგმა ზუსტად გაზომა ეს კუთხეები. მიღებული შედეგები შემდეგნაირი აღმოჩნდა: რანგით პირველს ჰორიზონტის ხაზთან 2° კუ-თხით უკავია სხეული, მეორეს — 20°, მესამეს — 32°, მეოთხეს — 38°, მე-ხუთეს — 41°, მეექვსეს — 43°-იანი კუთხით.

თავის „ჩინებას“ და „წოდებებს“

რანგით თანატოლი თევზები შეჯი-რებებში იმსახურებენ, ცურავენ რა გასწრებაზე. საკმარისია, ერთმა მო-ასპარეზემ ფინიშთან (ტერიტორიის საზღვარი) თუნდაც თავით გაუს-წროს მეორეს, რომ იგი გამარჯვე-ბულად ითვლება. თუ შეჯიბრება ფრედ დამთავრდა, მოასპარეზეები შერკინებას იწყებენ. ისინი ერთმა-ნეთის ჯვარედინად დგებიან და ორ-თაბრძოლას გატარებენ ე. ი. ფარ-ფლების დარტყმით წყვეტენ. ამის შემდეგ გამარჯვებული „კარნახობს“ დამარცხებულს, რა საფეხური უნდა დაიკავოს ოჯახში.

რა თქმა უნდა, დაბალი წოდების თევზებს უჭირთ თავიანთ მდგომარეობასთან შეჩვევა, ამიტომ წინა-მილოლი ხშირად შემოივლის თავის აამფლობელოს, ამოწმებს, უთავიან თუ არა ხელქვეითებს მათთვის აუ-ცილებელი მდგომარეობა, ხომ არ ცდილობენ ისინი დაარღვიონ დაწე-სებული კუთხე და მიუახლოვ-დნენ ჰორიზონტალურ მდებარეობას. მდგომარეობის სულ მცირე, ერთი გრადუსით დარღვევის შემთხვევა-შიაც კი დესპოტი გვერდით გავლი-სას ვარფლს ძლიერად ჩაჰკრავს ურჩს.

ჯგუფურად მცხოვრებ ფრინველ-თა უძრავლესობაშიც საკმაოდ ხში-რია კონფლიქტები, რომელთა შე-დეგადაც იქმნება მეტ-ნაკლებად მკაფიოდ გამოხატული იერარქია. ფრინველები იბრძვიან ნისკარტებით. ახალგაზრდა მამლებს ამგვარი უნა-რი ან მოთხოვნილება მეშვიდე ან მერვე კვირას უყალიბდებათ, ხოლო დიდლებს — მეცხრე კვირას; თუმცა საერთო ხასიათის აგრესიული ქცე-ვები წიწილებსაც აქვთ ჯერ კიდევ გამოჩევიდან მეორე კვირას.

სმითმა დაადგინა, რომ ათი დღის წიწილები ცნობენ არა მარტო საკუ-თარი ბუდის, არამედ სხვა გამონა-ჩეკის თანატოლებსაც. მაგრამ ერთ-მანეთის ინდივიდუალური ცნობა და იერარქიული რანგის გარჩევა გან-სხვავებული ცნებებია. ადრეულ ას-აკში ორივე სქესის ფრინველებმა, მათ შორის ვარიებმა და მამლებმაც, იციან ჩხუბი. მოგვიანებით კი ერთი და იმავე სქესის ფრინველებს შო-რის უფროს-უმცროსობა ჩანისკარ-ტების რიტუალით მყარდება. გაბა-ტონებულ მდგომარეობას მნიშვნე-ლოვნად განსაზღვრავს ფრინველის ნიშნები, რაც მოწინააღმდეგის რიდს იწვევს, შემდეგია: ფრინველის ნა-კლები განგურობა, ბიბილოს სიდიდე



და სხეულის ზომა, ყველაფერი ეს ერთად წარმატების ნახევარზე მეტს განაპირობებს, დანარჩენი კი „დუელიში“ გამარჯვების და სხვა ფაქტორების შედეგად მოდის.

ბრძოლით მოპოვებული წარმატების შენარჩუნება (ეს ბრძოლა წმინდა რიტუალურ ხასიათს ატარებს და ნამდვილ ჩხუბში ძალზე იშვიათად გადაიზრდება) დიდხანს გრძელდება, გამარჯვებული შიგადაშიგ თუ წაიხსუბებს, ისიც მხოლოდ თავისი გაბატონებული მდგომარეობის „შესახსენებლად“. სხეულის უპირატესობის დემონსტრირებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფრინველებში.

იერარქიის უდაბლეს საფეხურზე მდგომს ყველა იჯაბნიებს. მას არა აქვს „უფლება“, სხვისი თანდასწრებით კენკოს მარცვლი ან სხვა საკვები, მას უბრალოდ დევნიან საკვები ადგილიდან, ვარიებთან ახლოსაც არ აჭაჭანებენ. ამგვარ „ჩაგრულებს“ ჩვეულებრივ თვით „მშვენიერი სქესის“ წარმომადგენლებიც უგულვებელყოფენ.

გაბატონებული მამალი ყველა დედალთან ქორწინდება, სხვა მამლებს კი გამუდმებით დევნის. გამონაკლისს მხოლოდ რანგით შემდეგ საფეხურზე მდგომი წარმომადგენს. საინტერესოა, რომ ეს მეორე ზოგჯერ პირველსაც „უბედავს“ დევნას. ყველაფერი ეს, ადამიანთა ურთიერთობის ენაზე თარგმნილი, ასე ჟღერს: წინამძღოლი ანგარიშს მხოლოდ ღირსეულ მეტოქეებს უწევს. ნაბოლარები ანგარიშში არ ჩაივლებიან.

სხვა შინაური ფრინველებისაგან, იერარქია ახასიათებს ინდაურებსაც. ამასთან, აღნიშნული დამოკიდებულება დედლებს შორის საკმაოდ სტაბილურია, ხოლო მამლებს შორის, პირიქით, არამყარია. ცნობილია იერარქია შინაურ ინგებსა და მტრედებს, აგრეთვე კანარის ჩიტებს შორისაც.

მეცნიერებს აინტერესებთ, თუ რომელ ჯგუფში ვითარდებიან ინდივიდები უკეთ, — იქ, სადაც იერარქია სტაბილურია, თუ იქ, სადაც იგი წამდაუწუმ ირღვევა. ჩატარებული ცდების შედეგად გამოიკვავა, რომ იმ ჯგუფებში, სადაც იერარქია ხელოვნურად ირღვეოდა, ქათმები უმეტეს დროს ჩხუბს ანდომებდნენ და ამიტომ, ბუნებრივია, საკვებსაც ცოტას იღებდნენ. სტაბილური იერარქიის მქონე ჯგუფებში კი ქათმები ნორმალურად იკვებებოდნენ. ამიტომ პირველი ჯგუფის ფრინველები წონი-

თაც და ზომითაც ჩამორჩებოდნენ მეორეთ, ამას ისიც უნდა დაემატოთ, რომ ორგანიზებულ ჯგუფებში ჩხუბიც იშვიათი იყო.

თანდათან მძაფრ ხასიათს იძენს იერარქიის სხვადასხვა საფეხურის დასაპატრონებლად არსებული წინააღმდეგობები ჩრდილოეთის მარხილის ძაღლებში. ეს ცხოველები, ჩვეულებრივ, ხროვებად არიან გაერთიანებულები, თითოეული შესანიშნავად იცნობს ამხანაგების ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. თითოეულმა კარგად იცის (ხშირად მწარე გაკვეთილით მიღებული გამოცდილების წყალობით), თუ ვის უნდა მოერიდოს და დაუთმოს გზა, ვის მიმართ გამოიჩინოს დესპოტიზმი ისე, რომ თავიდან აიცილოს განსაცდელი.

ხროვთა უმრავლესობებში უმადლეს საფეხურზე დგას ყველაზე ძლიერი ხვალი, ხოლო მეორე ადგილზე მისი რჩეული ძუ. წინამძღოლი თავის უფლებებს ავრცელებს ყველასა და ყველაფერზე, — ტირანის მცირეოდენი შეღრენა ანდა თვალის მოწყურვაც საკმარისია, რომ ყველა დანარჩენმა მორჩილად დაიხოს უკან, ანდა მოკურცხლოს. უდაბლეს საფეხურზე იყოფება ყველაზე სუსტი (სქესის მიუხედავად) ძაღლი. ასეთი ძაღლი ფაქტიურად არარაობაა. კუდამოძუებული, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, იგი მოწიწებით, ზოგჯერ ფორთხვითაც კი, უვლის გვერდს შემხვედრთ, ყოველ წუთს შიშით აცეცებს თვალს; საქმელს ვერ ეკარება, თუკი ახლომანლო ვინმე ეგულება.

ესკიმოსები შესანიშნავად იცნობენ ერთი მარხილის ძაღლებს შორის არსებულ ურთიერთობას. ისინი ანგარიშს უწევენ წინამძღოლს, იციან, რომ ძლიერი ძაღლი მშვიდობიან დამოკიდებულებას ვერ დაამყარებს მის გვერდით მყოფ, იერარქიულ კიბეზე თუნდაც ოდნავ დაბლა მდგომ თანამოგვარესთან. ამიტომ მათ მარხილში მხარდამხარ არც შეაბამენ ხოლმე.

ძაღლებს არა მარტო ეშინიათ თავიანთი წინამძღოლისა, არამედ, გარკვეული აზრით, პატივსაც სცემენ მას, ე. ი. წინამძღოლი მხოლოდ შიშს როლი უნერგავს დაქვემდებარებულებს. ეს უკანასკნელები კი ყოველთვის მზად არიან, შეუერთდნენ მის ნებისმიერ ინიციატივასა და მოქმედებას. ადამიანთა ენაზე ეს ნიშნავს, რომ ძაღლებს თავიანთი წინამძღოლისადმი შიშის, მოკრძა-

ლების, მორჩილებისა და პატივისცემის შერეული გრძნობა აქვთ. როგორც ჩანს, ასეთივე გრძნობა აკავშირებს ძაღლს თავის პატრონთან — ადამიანთანაც. ამ შემთხვევაში ადამიანს ცხოველი ზეწინამძღოლად თვლის და მისთვის იგი ერთადერთი ავტორიტეტია.

ბუნებრივია, რომ იერარქია ჯგუფურად მცხოვრებ ცხოველებს ახასიათებთ, ამიტომ არც გვიკვირს, რომ მას ვერ ვხვდებით ერთეული ცხოვრების მოყვარულ ცხოველებს — (ვეფხვი, ლეოპარდი, იავუარი, მელა, თეთრი დათვი და სხვ.) შორის.

ცხოველთა მიერ მოწყობილი თანასაზოგადოებები სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. ცხოველთა თანასაზოგადოება, რომელიც ნამდვილ პოლიგამიურ ოჯახს წარმოადგენს (სადაც მხოლოდ ერთი ზრდასრული დედალია). ცხოველთა ამგვარი, შედარებით იშვიათი გაერთიანების მაგალითია ამერიკული ჩლიქოსნება — გუანაკო და ლამა. 2. ცხოველთა თანასაზოგადოება, რომელიც შედგება მდედრის, პატარებისა და განცალკევებით მცხოვრები მამრებისაგან. ამგვარი თანასაზოგადოებები შეიძლება რამდენიმე პატარა პოლიგამიური ოჯახის გაერთიანებასაც წარმოადგენდეს. ასეთ შემთხვევაში „ზედმეტი“ ახალგაზრდა მამრები, თუმცა დანარჩენებს შორიახლო ეწყობიან, მაინც ითვლებიან თანასაზოგადოების წევრებად. ურთიერთობათა მსგავს ორგანიზაციებს ვხვდებით სელაპებსა და გარეულ ცენებში. 3. თანასაზოგადოებები, სადაც, მიუხედავად პოლიგამიის არსებობისა, ორივე სქესის ცხოველი ერთად ბინადრობს. მსგავსი თანასაზოგადოებები დამახასიათებელია სპილოებისა და მაიმუნებისათვის.

ზემოთ აღწერილი იერარქიის კანონის თანახმად, ცხოველთა ასეთ გაერთიანებასა და თანასაზოგადოებაში აუცილებელია წინამძღოლი — ყველაზე ძლიერი, გამოცდილი, შეუპოვარი ინდივიდი...

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც „სამეფო ტახტის“ მოსაპოვებლად ძლიერი რქები თუ კბილები არც არის საჭირო. ცხოველები შინაგანი ინტუიციით ცნობენ ყველაზე ღირსეულისა და ავტორიტეტულის წინამძღოლობას და ემორჩილებიან მას.

არნ. გეგეჰჰორი,  
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.





განყოფილებას  
ხელმძღვანელობს  
საქართველოს  
დამსახურებული  
მწვრთნელი  
**ზოთა ინჟირაძე**

ამჟერად გავცენოთ ოსტატ  
ჩემად ბერძნის საინტერესო  
შემოქმედებას. პარტია ნათამა-  
შევია საქართველოს ვაჟთა  
ჩემპიონატში.

**ინიციატივა. შეტევა**  
(დებიუტში პაიკის შეწირვა  
ინიციატივისათვის)

**სცილიური დაცვა  
ბერძენი**  
(წყალტუბო. ოსტატობის  
კანდიდატი)  
**ლომაია**  
(თბილისი. ოსტატი)  
თბილისი, 1968 წელი.

„ინიციატივა ნიშნავს დროსა და  
აქტიურობას და ამიტომ წარ-  
მოადგენს უპირატესობას“.  
**პაპაზოვსკაძე**  
„შეტევა არის პროცესი, რომ-  
ლის საშუალებით ჩვენ ვაძ-  
ვრებთ წინაღობებს“.  
**ლასკერი**

ინიციატივაზე და შეტევაზე  
— ისე როგორც ტაქტიკაზე—  
ურთიერთსაწინააღმდეგო მო-  
საზრებები არსებობს. აღვნიშ-  
ნავთ, რომ შეტევა ყოველ-  
თვის ინიციატივაა და არა —  
პირიქით.  
ინიციატივა ამზადებს პირო-  
ბებს ფიგურათა და პაიკთა  
ურთიერთშეთანხმებული, კო-  
ორდინირებული მოქმედების  
ზრდისათვის. ძირითადად ინი-  
ციატივა ამზადებს ნიადაგს შე-  
ტევის ან აქტიური დაცვისათ-  
ვის.

შეტევა ძირითადად იყენებს  
უკვე მოპოვებულ პოზიციურ  
უპირატესობას.  
შეგნიშნავთ, რომ ინიციატი-  
ვისა და შეტევის ორგანიზა-  
ციონალია მუქარა.


1. e4 c5 2. მწ მც 3. d4 cd
4. მ×d4 e6 5. მც ლ7 6. აწ
- ა6 7. კე8 მწ 8. f4

პაიკის შეწირვა ინიციატივი-  
სათვის.

უნდა განვახსენავთ ინიცია-  
ტივის ორი აზრობრივი კატე-  
გორია — ინიციატივის გამოვ-  
ლინება და ინიციატივის ფლო-  
ბა.

8. ... მ×d4 9. კ×d4 ლ×f4
10. გ3 ლh6 11. e5 მგ8 12.
- ლწ f5 13. მა4 მე7 14. მხ6
- თეთრები ფლობენ ინიცია-  
ტივას — „ხანგრძლივ ინიცია-  
ტივას“.

14. ... ეხ8 15. ლწ მც 16.
- კე8 ლh5 17. კე2 ლf7 18.
- 0—0—0 გ6 19. კწ! კგ7.



თეთრებს დიდი ტერიტორი-  
ული უპირატესობა აქვთ. შა-  
ვეები კატასტროფულად ჩამო-  
რჩნენ განვითარებაში, მაგრამ  
ახლა „e5“ პაიკი საფრთხეშია  
და შავეები უთუოდ იმედოვნე-  
ბენ ამ საზრუნავით ჩაშალონ  
ან შეაფერხონ მაინც მოწინა-  
აღმდეგის ინიციატივა.

ეს კრიტიკული პოზიცია  
თეთრებს უდავოდ მე-19 სვლა-  
ზე ექნებოდათ მხედველობაში.  
სტიინიცის აზრით, შეტევა  
მართებული შეიძლება იყოს  
მხოლოდ მაშინ, როდესაც წო-  
ნასწორობა ძალზე დარღვეუ-  
ლია: მხოლოდ ასეთ შემთხვე-  
ვაში შეიძლება შეტევა, უფრო  
მეტეც, არა თუ შეიძლება,  
არამედ აუცილებელია. წინა-  
აღმდეგ შემთხვევაში მოპოვ-  
ებული უპირატესობა ფატალუ-  
რად თანდათან გაქრება (ამაშუ-  
რადსკერი სტიინიცის ღრმა ფი-  
ლოსოფიურ აზრს პოულობს).  
თანამედროვე გაგებით, შე-

ტევის აღმოცენების ხელშეშ-  
ელობა არა იმდენად ობიექტუ-  
რი უპირატესობა, რამდენადაც  
ძალთა განლაგების თავისებუ-  
ლება (ლოკალური ყაიდის უპი-  
რატესობა, ე. ი. მას მნიშვნე-  
ლობა აქვს დაფის გარკვეულ  
უბანზე). ეს შეტევის არსის  
გამდიდრებაა და არა გადაფა-  
ხება.

**20. კწ!**  
ბერძენი მიაგნო პრობლემის  
ბრწყინვალე გადაწყვეტას —  
მსხვერპლის გაღებთ ინიცია-  
ტივის გადაზრდას, ტრანსფორ-  
მაციას შეტევაში, ცენტრში და-  
რჩენილ მეფეზე.

როგორც ვხედავთ, შეტევა  
უფრო კონკრეტული ყაიდის  
ცნება ყოფილა.

შეტევა სტრატეგიის ფორ-  
მაა, რომელშიაც ტაქტიკა ეხე-  
ლზე ძალუმაღ ამუღანებს  
თავის თავს.

20. ... კ×e5 21. ლდ8 d5 22.
- მც4!

კიდევ უფრო ასუსტებს შავ  
უჯრებს.

22. ... ლწ 23. მ×e5 მ×e5
24. ლწ მდ7 25. კა4 ლგ5 26.
- მგხ1 ეწ8

თუ 26. ... 0—0, მაშინ შესაძ-  
ლებელი იყო ასეთი გაგრძელე-  
ბა: 27. ეხe1 ეე8 28. კ×d5 მწ8  
29. ლc7 კდ7 30. ე×e6!! მოგე-  
ბით.

ეტლის შეწირვაში „გათრე-  
ვის“ იდეაა. ირკვევა, რომ  
გადატვირთულია შავების ოთ-  
ხი ფიგურა! (მოტივი).

27. ეხe1 მგf7 28. ე×e6!
- მგ×e6 29. კ×d5! მგe7.

თეთრებმა დიდი მატერია-  
ლური მსხვერპლის ფასად გა-  
ხსნეს ცენტრალური ვერტი-  
კალები, იმ ვარაუდით, რომ  
შავი მეფე ამ მომაკდინებე-  
ლი ზონიდან თავს ვერ და-  
აღწევს.

დიდი მსხვერპლის გაღება  
შესაძლებელი გახდა მოცე-  
მულ უბანზე თეთრი ძალების  
რიცხობრივმა უპირატესობამ.  
რომელიც ამ შემთხვევაში გა-  
ნაპირობა განვითარებაში შავე-  
ბის ჩამორჩენამ.


30. კწ მგე8 31. ეე1 მგდ8
32. კდ5!

თეთრი ფიგურების მზარდმა  
კოორდინაციამ აპოთეოზს მი-  
აღწია!

შავეები დანებდნენ.  
დებიუტში ინიციატივისათვის  
პაიკის შეწირვა მოითხოვს პო-  
ზიციის ღრმა შეფასებას მის

დინამიკურ განვითარებაში  
ქვემოთ მოყვანილი პოზიცია  
შეიქმნა 1981 წლის 1 მარტს  
პიონერთა სახახლისა და განა-  
თლების სამმართველოს საქაღ-  
რაკო სკოლის დამწყებ მოქაღ-  
რაკეთა ამხანაგურ შეხვედრაში.  
თეთრებით თამაშობს პიონერ-  
თა სახახლის აღსაზრდელი,  
151-ე საშუალო სკოლის პირ-  
ველკლასელი, მეხუთეთანრი-  
გოსანი დავით უთმელიძე.

**სატიანშილი**



**უთმელიძე**

14. გ4!!  
შესანიშნავია!  
ნორჩი მოქალაქე კომბინა-  
ციას ამზადებს!


14. ... f6 15. ლ×f8! ე×f8
16. ე×f8 მგ8 17. ე×g8++

7 წლის დათომ ბრწყინვალე  
შემოქმედებითი გამარჯვება  
მოიპოვა.

კომბინაციის მთავარი მო-  
ტივია მე-8 პიონერთა სახახლის  
სისუსტე. ხოლო იდეა „დაც-  
ვის განადგურება“.

ამოსახსნელად გთავაზობთ  
ფრაგმენტს თბილისის ქალთა  
1981 წლის ჩემპიონატში ნა-  
თამაშევი ერთ-ერთი პარტიი-  
დან.

**მამალაძე**



**ვასპურიძე**

სვლა შავებისა  
მეექვსეკლასელმა, მეორე  
თანრიგოსანმა თეა მამამალაძემ  
მახვილგონივრული სვლით გა-  
იმარჯვა გამოცდილ პირველ-  
თანრიგოსან ფასურძესთან.  
ველით თქვენს სახესს.





**მუხლუხავის შემოსევა**

აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში მცხოვრებთათვის უბედურებად იქცა არაფარდი პარკვეციების შემოსევა. წლეულს მათ პირწმინდად გაანადგურეს ტყისა და ბაღის საფარი მ მილიონ აკრ ფართობზე. მატერიალური ზარალი ათეული მილიონობით დოლარს შეადგენს.

სპეციალისტების წინასწარმეტყველებით, 1982 წელს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება, რადგან მუხლუხები ამ ქვეყნის უველა რაიონში ვრცელდებიან.

**ქველანამ პაწაწინა წიბნი**

იაპონიაში გამოსცეს წიგნი, რომელიც ისეთი პაწაწინა, ნემსის უნწში გააძვრენ. იგი 160 გვერდიანია, დაწერილია ყვავილების ენაზე (ტექსტი სიმბოლურია), უოველი გამოსახული ყვავილი რაიმე განსაზღვრულ აზრს გამოხატავს). ამ მიკრომინიატურული წიგნის წაკითხვა შეიძლება მხოლოდ ძლიერ გამადიდებელი შუშით, რომელიც მას სპეციალურად თან ახლავს.



**ფრთოსანი გამძლოლი**

უსინათლო ადამიანის გამძლოლად ოდითგანვე ძალდი ითვლებოდა. მაგრამ ამერიკელი ორნითოლოგის რეი ბრუიკის აზრით, ამ როლის უკეთესად შესრულება შეუძლია თუთიყუშს. ძალდისაგან განსხვავებით თუთიყუშს არ აწუხებს დალტონიზმი და საერ-

თოდ გაცილებით მახვილი თვალი აქვს, — ამტკიცებს ბრუიკი. — მას შეიძლება შუქნიშნის ფერის, სავალ ნაწილზე მანქანების მოძრაობის ან სხვა დაბრკოლებისა მიხედვით შევასწავლოთ ასეთი სიტყვების წარმოთქმა: „სდექ“, „წადი“, „მოუხვიე მარცხნივ“ და ა. შ... თანაც ამ ფრინველის შენახვა გაცილებით იაფი ჯდება, ხოლო მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა იმდენად დიდია, რომ უსინათლოს თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთი და იგივე „გამძლოლი“ ჰყოფნის.

ფხიანმა ორნითოლოგმა უკვე გახსნა სპეციალური ფირმა „ჩიტის თვალები“, რომელიც უდიდს დიპლომან თუთიყუშებს 250 დან 400 დოლარამდე, იმისდა მიხედვით, თუ რამდენ სიტყვას შეიცავს ამ ფრინველის „ჩიბის ლექსიკონი“.



**ენა-ტელეგრაფი**

ცნობილია, რომ კანარის კუნძულებს უოფილი მკვიდრნი — გუანჩები დიდ მანძილზე სტვენით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ თურმე გუანჩები ერთადერთი ხალხი როდია ჩვენს პლანეტაზე, ვინც ურთიერთობის საშუალებად სტვენა აირჩია.

თურქეთში, ანკარის ჩრდილო-აღმოსავლეთით 600 კილომეტრზე მდებარეობს ვილაიეთი გირესუნი. მის შუაგულში მაღალი მთებია აღმართული. სოფლები აქ ცოტაა და ძნელად სავალი გზების გამო მათ შორის მიმოსვლა გართულებულია, არც სატელეფონო კავშირი არსებობს. და აი, მან სოფლის მცხოვრებლებმა გამოიგონეს თავიანთი საკუთარი ენა, რომელსაც შეიძლება „ენა-ტელეგრაფი“ ეწოდოს. თუ, ვთქვათ, რომელიმე გლეხს დასჭირდა მეზობელი სოფლის მკვიდრ ნათესავს ამცნოს ბავშვის დაბადება, ქორწილი, მეგობრის გარდაცვალება ან სხვა რაიმე ახალი ამბავი, ანდა თუ დახმარება უნდა მას სთხოვოს, უახლოეს გორაზე ადის და სტვენით გადასცემს საჭირო ინფორმაციას. ადგილობრივ მცხოვრებლებს მართლაც რომ ეხერხებოდა სტვენა: სამი კილომეტრის მანძილზე შეუძლიათ დაელაპარაკონ ერთმანეთს. „ენა-ტელეგრაფს“ მხოლოდ ორი

ათასი კაცი ფლობს, დანარჩენებს სიცივე გაუგებარია, თუ რაზე ლაპარაკობენ ისინი.


**თავეს არაპინს აჩაგვრინება**

მინდვრის ტრიჭინები მამაცურად იცავენ თავიანთ „სახლ-კარს“ — პაწაწინა სოროს — თვისტომთა ხელყოფისაგან, უშიშრად ერკინებიან მომხდურს. ტრიჭინები თავისებურად ჩხუბობენ — ერთმანეთს მთელი ძალით აწვეებიან. გამარჯვებული საბრძოლო ხიმღერას ასრულებს. შემდეგ მოწინააღმდეგეს კბენს და გვერდზე გადააგორებს.

კუტალიებიც არავის აჩაგვრინებენ თავს, თუ ვინმე თავხედურად შეიჭრა მათ სამფლობელოში, ისინი მუქარით აღსავსე, ყურის წამღებ ტრიჭინს ატეხენ ხოლმე. შეშინებული აგრესორი მყისვე გაეცლება იქაურობას.

**სენგარნარების კვალზე**

ჭერ კიდევ ჩარლზ დარვინი წერდა, რომ ღორი გონებრივი ნიჭიერებით არ ჩამოუვარდება ძალდს. უფრო მეტიც, კემბრიჯის უნივერსიტეტში ექსპერიმენტების დროს ბევრ შემთხვევაში უკეთესი შედეგებიც კი აჩვენა. როცა, მაგალითად, ღორები და ძალდები ცივ შენობაში ერთად მოათავსეს და უჩვენებდნენ, როგორ ჩაერთოთ გათბობა, პირველნი ამ ოპერაციას ერთ წუთში დაეუფლნენ, ძალდებს კი ორ-სამჯერ მეტი დრო დასჭირდათ საამისოდ. ამისთან, ისინიც და ესენიც გათბობის ჩამართველ კლავიშს დინგან ცხვირს კი არ აჭერდნენ, არამედ ფეხებს. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ღორებს კარგი უნოხვა აქვთ. სათანადო წვრთნის შემდეგ ისინი კაკბებს და სხვა ფრინველებს 600 მეტრის სიშორეზე გრძნობდნენ, ადამიანს ოვლის სქელი ფენის ქვეშ პოულობდნენ. სპეციალისტების აზრით, კარგი იქნება ზამთრის პირობებში სამძებრო-სამაშველო მუშაობის დროს, ძვირადღირებული სერბერნარების ნაცვლად სპეციალურად გაწვრთნილი ღორების გამოყენება.





ველოსიპედისტს ქუჩაში მოძრაობისას ავტომობილის, ავტობუსის, ტროლეიბუსის მძღოლების თანაბარი უფლებები აქვს. მრავალრიგიანი ქუჩაში მოძრაობისას იგი იკავებს მარჯვენა პირველ რიგს და მოძრაობს ტროტუარიდან არაუმეტეს 1 მეტრის მოშორებით.

ველოსიპედით მოძრაობა ნებადართულია მარტო ერთ რიგში. რიგიდან გამოსვლა დასაშვებია მხოლოდ გასწრებისას ან შემოვლისას. ამ დროს ველოსიპედისტმა უნდა გააფრთხილოს უკან მომავალი ტრანსპორტი, მისცეს მას მარცხნივ მოხვევის ნიშანი — გვერდით გაიშვიროს მარცხენა ხელი ან იდაყვიში მოხაროს მარჯვენა ხელი. დაამთავრებს თუ არა შემოვლას, ველოსიპედისტმა მარჯვენა პირველი რიგი ისევ უნდა დაიჭიროს.

მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს ველოსიპედისტი, როცა მარცხნივ მოხვევა ან მობრუნება უნდა, რომ უკუმიმართულებით წავიდეს?

უნდა გვახსოვდეს, რომ მარცხნივ მოხვევა ან უკან მობრუნება ველოსიპედისტს შეუძლია მხოლოდ გზაჯვარედინზე და იმ შემთხვევაში, თუ მოცემული მიმართულებით მოძრაობისათვის ერთი ზოლია და მარცხენა მხარეს არ არის ტრამვაის ლიანდაგი. ამასთან, მოხვევისას საჭიროა ვაკატაროთ შემხვედრი სატრანსპორტო საშუალებანი.

სხვა შემთხვევებში მარცხნივ მოსახვევად ან მოსაბრუნებლად ველოსიპედიდან უნდა ჩამოვიდეთ, დავიჭიროთ ის საჭით და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის წესების დაცვით გადავიდეთ გზის სავალ ნაწილზე.



განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვიყოთ მოუწყობიებელ გზაჯვარედინზე გავლისას.

ველოსიპედისტი უნდა ხელმძღვანელობდეს გამაფრთხილებელი ნიშნებითა და წესებით. გზაჯვარედინზე გავლისას, სადაც თანაბარმნიშვნელოვანი გზების გადაკვეთაა, მან უნდა გაატაროს ტრანსპორტი, რომელიც მარჯვენა

# ვუჩიქილად ავტომობილს!

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ შსს სახ. ავტონსპექციის სააღრიცხვო-საგამოცდო ქვეგანყოფილების სახ. ინსპექტორი პ. კანდელაკი.

## ველოსიპედისტის მოძრაობის წესები



მხრიდან უახლოვდება, შემდეგ კი თვითონ გაიაროს. თუ ქუჩაზე ან გზაზე არის ველოსიპედის ბილიკი, მაშინ ველოსიპედისტი მხოლოდ ამ ბილიკზე მოძრაობენ. მოუწყობიებელ გზაჯვარედინზე ველოსიპედის ბილიკის და გზის გადაკვეთის ადგილას ველოსიპედისტმა გზა უნდა დაუთმოს მომავალ სატრანსპორტო საშუალებებს.

ველოსიპედისტი უფლებია აქვს გადაიტანოს ტვირთი, მაგრამ ეს ტვირთი ხელს არ უნდა უშლიდეს მას მართვაში და არ უნდა იყოს ველოსიპედის გაბარიტების გარეთ სიგრძეში ან სიგანეში 0,5 მეტრზე მეტად გამოშვებული. ამ მოთხოვნების დაცვა აუცილებელია, თორემ ველოსიპედის მართვა გაძნელებულია, გარდა ამისა, გამოშვებული საგნები ადვილად შეიძლება შეეხოს მიმავალ ავტომობილს, ეს კი სახიფათოა.

### ტექნიკური მოთხოვნები ველოსიპედისადმი

ველოსიპედს, როგორც ყველა სხვა სატრანსპორტო საშუალებას, უყენებენ ტექნიკურ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნებს.


ველოსიპედისტმა, ისე როგორც ყველა მძღოლმა, კარგად უნდა იცოდეს თავისი მანქანის მოწყობილობა და მუდამ კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში ჰქონდეს ველოსიპედი.

ტექნიკურად გაუმართავი ველოსიპედით არ შეიძლება ქუჩაში გასვლა. გასვლის წინ უნდა დაეწმუნდეთ, რომ ველოსიპედის საჭე, მუხრუჭი და ხმოვანი სიგნალი გამართულია. საჯდომი უნდა დავაყენოთ ჩვენი სიმაღლის მიხედვით: სატერფულზე დაყრდნობისას ფეხი მუხლში ცოტათი მოხრილი უნდა გვქონდეს, თორემ ველოსიპედის მართვა გაჭირდება.

უნდა შემოწმდეს, მუშაობენ თუ არა წინა და უკანა ფარები. ველოსიპედს უკან უნდა ჰქონდეს შუქამრეკლი.

კარგად უნდა ვიცოდეთ ვე-






ლოსიპედის მოვლა, სხვის დაუხმარებლად შეგვეძლოს კვანძების დაზეთვა, გადამწვარი ნათურის გამოცვლა, ხმოვანი სიგნალის დაშლა და რეგულირება, აგრეთვე სხვა უწყვეტრობათა აღმოფხვრა.


უიღვისას ველოსიპედი აირჩიეთ თქვენი ზომის მიხედვით. მართვისას ის უნდა მოხერ-

დით ორნი მოძრაობენ, ველოსიპედის მართვა ძალიან ძნელია და ადვილად შეიძლება წაქცევა ან მანქანის ქვეშ შევარდნა.

ასევე არ შეიძლება ველოსიპედით მოძრაობა საჭეზე ხელმოუკიდებლად. ასეთი მოძრაობის მოყვარულნი ხშირად ვარდებიან ხიფათში.



ევებს — ველოსიპედისტი შეიძლება დაიღუპოს ანდა სამუდამოდ ხეიბარი დარჩეს.





6. ვინ უნდა დაუთმოს გზა ველოსიპედისტმა თუ ავტომობილის მძღოლმა?

7. აღნიშნული მიმართულებიდან საით შეუძლია მოძრაობა ველოსიპედისტს?

8. რომელი ველოსიპედისტი

**საკონტროლო კითხვები**

1. რომელი ბავშვი გადადის სწორად ქუჩაში?
2. რომელი ველოსიპედისტი



ხებული იყოს. ძალიან დიდი სიმაღლის ველოსიპედზე ჯდომა მოუხერხებელია, ფეხები სატერფულს არ წვდება და მართვა ძნელი ხდება. ასევე მოუხერხებელია პატარა ზომის ველოსიპედის მართვა.

არ ისეირნოთ ერთსაჩლოშიანი ველოსიპედით ორმა. ეს აკრძალულია მოძრაობის წესებით. როცა ერთი ველოსიპე-

უქნიდან არ ჩამოეციდით მიმავალ სატვირთო ავტომობილს, რადგან ავტომობილი შეიძლება დამუხრუჭდეს ან მოუხვიოს, ველოსიპედისტი კინერციით შეეჭახება ავტომობილის ძარას. ხოლო თუ ავტომობილმა მკვეთრად მოუმატა სიჩქარეს, მაშინ?

ამ შემთხვევებს შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰ-

მოძრაობს სწორად?

3. ვინ უნდა დაუთმოს გზა ველოსიპედისტმა თუ ავტომობილის მძღოლმა?




4. რომელმა ველოსიპედისტმა უნდა გაიაროს პირველმა გზაჯვარედინი? რატომ?

5. როგორი თანამიმდევრობით უნდა გაიარონ ველოსიპედისტებმა გზაჯვარედინი?

იძლევა სწორ გამაფრთხილებელ სიგნალს მარცხნივ მოხვევისას?

9. რომელ ნახატზეა სწორად ნაჩვენები ველოსიპედისტების მოძრაობა ველოსიპედის ბილიკზე?

10. თუ თქვენ 14 წელი არ შეგზრულებიათ, სად უნდა იართო ველოსიპედით?







თამაშისთვის დაგვირდება 2-3 მეტრი სიგრძის თოკი: თოკს ერთ ბოლოში უკეთდება ყულფი, რომელიც გამოებმება ბოძზე ან მიწაში ჩასმულ სოლზე.

თამაშის წამყვანი ხელში იჭერს თოკის მეორე ბოლოს, თოკს კარგად დაჭიმავს და ისე ურბენს გარშემო ამ სოლს თუ ბოძს. ამ დროს ხელი, რომელშიც თოკი უჭირავს, უთუოდ წელს ქვემოთ უნდა ჰქონდეს.

თოკის მოახლოების მოთამაშეები უნდა გადაახტნენ მას. ის მოთამაშე, რომელიც ვერ გადაახტება და „ჩაიჭრება“, თამაშიდან გადის.

შუანიშანი

ერთმანეთისაგან 10-15 მეტრის დაშორებით გაავლეთ ორი პარალელური ხაზი. თამაშის წამყვანი ამ ხაზებს შორის დგება. დანარჩენი მოთამაშეები განლაგდებიან ხაზებზე. წამყვანი ასახელებს რომელიმე ფერს, მაგ.: წითელი; ყვითელი, შავი და ა. შ. მოთამაშეებს, რომლებსაც აქვთ ამ დასახელებული ფერის ტანსაცმელი ან რაიმე საგანი, შეუძლიათ მშვიდად გადავიდნენ მოპირდაპირე ხაზზე, დანარჩენები კი უნდა გაიქცნენ და შეეცადონ „ჩაუჭრელად“ გააღწიონ. ის მოთამაშე, რომელსაც წამყვანი „ჩაჭრის“, თვითონ ხდება წამყვანი.

ღამის ღარაჯი

შემოხაზეთ 2-3 მეტრი დიამეტრის მქონე წრე. ცენტრში თვალახვეული ჩაუყუქდება „ღარაჯი“. მას



უფლება არა აქვს ადგილი შეიცვალოს, მხოლოდ ხელები უნდა აფათუროს. წრის შიგნით მიმოფანტულია სხვადასხვა საგნები (ყვავილი, ბურთი და სხვა). მეორე მოთამაშესაც უნდა აუხვიოთ თვალი, იგი ცდილობს „ღარაჯს“ მოსტაცოს რაიმე წრეში დაყრილი საგნებიდან. „ღარაჯმა“ კი იგი უნდა დაიჭიროს. მათ შეუძლიათ ერთმანეთს შეეხონ, მაგრამ თუ „ღარაჯი“ ვერ მოახერხებს მის დაჭერას, იგი დამარცხებულიად არ ითვლება. ეს ძალზე სახალისო თამაშია, როგორც მონაწილეობისთვის, ისევე მიაყურებლებისთვისაც.




თალგამის მოთხრა

ამ თამაშში წამყვანია ყველაზე ღონიერი მოთამაშე ან ორი-სამი ერთად. დანარჩენები სდებიან მიწაზე ერთმანეთის ზურგს უკან და უკანა წინმჯდომს წელზე მაგრად შემოხვევს ხელს. თამაშის წამყვანი ხელს ჩასკიდებს პირველ მოთამაშეს და შეეცდება იგი მიწას მოწყვიტოს „თალგამი ამოთხაროს“. თუ ეს მარტომ ვერ მოახერხა, მას შემდეგ დაუდგება ზურგსუკან, წელზე ხელს შემოხვევს და ახლა ერთად შეეცდებიან. თუ მოახერხეს და მოთამაშე მიწას მოწყვიტეს, ეს უკანასკნელიც მათ უნდა მოეხმაროს, და ასე გრძელდება, ვიდრე მიწაზე ერთი მოთამაშე მაინც რჩება — ვიდრე მთელ თალგამს არ მოთხრიან.

სამიდან — ხუთი. სურათზე გამოსახულია ასანთის 18 ღერისაგან შედგენილი ფიგურა. ამ ფიგურაში შეგიძლია აღმოაჩინო სამი ეკვდრატი. გადაადგილე ორად ორი ღერი ასანთი ისე, რომ სწორკუთხედის შიგნით გაჩნდეს 5 ეკვდრატი.

შვიდი ხე. ბალი, რომელშიც იხრდება შვიდი ხე, დაყავი თანაბარ ნაწილებად ისე, რომ თითოეულ მათგანში მოხვდეს მხოლოდ ერთი ხე.

მოგზაური ხაზი. სურათზე გამოსახული სწორკუთხედი გრძივი და განივი ხაზებით დაყოფილია 10 პატარა სწორკუთხედად. გაავლე უწყვეტი ხაზი ისე, რომ მან გადაჭრას ყველა 27 მონაკვეთი, რომლებიც შეადგენენ ამ პატარა სწორკუთხედების გვერდებს. ოღონდ შენს მიერ გავლებულმა ხაზმა ეს გვერდები მხოლოდ ერთხელ უნდა გადაკვეთოს.



მსახიობის გატურება

ცნობილ გერმანელ მსახიობს უნცელმანს ერთ როლში ვრცელი წერილი ჰქონდა წასაკითხავი. რადგან მას ამ წერილს ქალაქში დაწერილს აწვდიდნენ, მისი შინაარსი ზეპირად არ დაისწავლა.

კოლეგამ, რომელსაც როლის მიხედვით მისთვის წერილის გადაცემა უწევდა, უნცელმანს გამახსარავება მოუნდომა და წერილის ნაცვლად სუფთა ქალაქი გადასცა.

უხსოვარი ტუმბო

მსახიობმა წამით დახედა ქალაქს, მერე უკანვე მიაწოდა და უთხრა: — დღეს სათვალე შინ დამრჩა, შენ წამიკითხე.

ჰიპოზის გამოცდა

- რა იცით ამონიაკის შესახებ?
— ჰკითხა პროფესორმა სტუდენტს.
— ცრემლის დენას იწვევს, ბატონო პროფესორო.
— ისევე, როგორც თქვენი პასუხი — გაელიმა პროფესოროს.

შეფოთება

სახლის პატრონმა ქვემო სართულის მდგმურს კარზე მიუკაკუნა და შეშფოთებით ჰკითხა:

- რას შვრებით, ბატონო ლემან?
— არაფერს, ქალბატონო. ვიოლინოზე ვუკრავ.
— მაღლი ღმერთს, — თქვა დამშვიდებით ქალმა, — ვიფიქრე, საწოლს ფეხებს ახერხავს-მეთქი.

გერმანულიდან თარგმნა შ. ამირანაშვილმა



**საკონკრეტო**



კერძო სახლებში გასათბობი სისტემის ავზში წყალი სწრაფად ორთქლდება და ავზი ისევ და ისევ შევსებას მოითხოვს. ეს რომ თავიდან აიცილო ავზში ჩაგუბებულ წყალში მანქანის ზეთი შეურიე წყალი ზეთს ზედაპირზე მოიგდებს. ეს კი წყლის აორთქლებას შეუშლის ხელს.





ფოტორეპროდუქციების დასამზადებლად მშენიერი გამოსაყენებელია ჩიბის შტატივი და გამადიდებელი. შტატივზე დამაგრებული ფოტოპარატი გამადიდებელს უნდა მოარგო. მერე მისი რეგულირება ადვილია და, ცხადია, საჭირო ფორმატის კადრების შერჩევაც.

დასაწნილებელმა პომიდორმა, კიტრმა, წათხში ჩაწყობილმა ყველმა და სხვ. ზედაპირზე ამოტივტივება იცის. გამოჭერი ხისგან იმოღენა ბოჯლოტი, ზუსტად რომ მიეზჩინოს ჭურჭლის კედლებს და პროდუქტს ზემოდან დააწვეს, გალოპრე და დიასხლისს მიართვი.

ორღესულ სამართებელს ნახვრეტში საკანცელარიო სამაგრისი გაურკვე (დახედე ნახაზს). ფანქარსაც იოლად წათლი და საერთოდ, სამართებელს ისე იზმარ, რომ თითების გაჭრისა აღარ შეგეშინდება.

როცა კაფელის ფირფიტებს კედელზე სქელი საღებავით აკრავ და არა წებოთი, საღებავის გახმობამდე კაფელმა ძირს ჩამოცვენა იცის. ეს უხერხულობა იოლად შეიძლება აიცილო თავიდან, თუ ფირფიტას და კედელს შორის ერთ ციციქნა პლასტილის დაუტენევ.

თუ გინდა, რომ კასეტა სწრაფად გადაახვიო, გააკეთე მავთულისაგან აი ასეთი სახელური და კასეტის კოჭი იმით დაატრიალებ.



მომავალ თაობაზე ზრუნვითა და ფიქრით	2
კონონენკო ე. — ახალი ქვეყნის პირველი პერტს-ლები (წერილი)	2
ბუთხუჭი გ. — გზის დასაწყისი (მოთხრობა, დასასრული)	4
შავლიაშვილი მ. — ეინვალტსი (ნარკვევი)	11
ივარდავა დ. — ლექსები	15
სებისკვერაძე მ. — სამშობლოვ, გწამდეს მათი! (წერილი)	16
ჯავახიშვილი მ. — ფიცი ტყეში (ნაწყვეტი „არსენა მარაბდელიდან“)	17
კოცონი	20
აისი	22
ლენცი ზ. — ფაქიზი სული (მოთხრობა)	23
გეგეჭკორი არნ. — ეერარქია ანუ უმცროს-უფროსობა ცხოველებში (წერილი)	25
მხედრიონი	27
ჯადოსნური სარკე	28
ფრთხილაღ, ავტომობილი!	29
თამაშობები	31
უცხოური იუმორი	31
გამოგადგები	32
ცხრაკლიტული	გარეკ. 3
ფოკუსის მიღმა	გარეკ. 3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა თამაშრ ფსიქიძისა, მე-4 გვერდზე დიმიტრი ზარაფიშვილის ნახატი „შემოდგომა“.

**მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია**

სარედაქციო კოლეგია: ნუზარ აფხაზაშვილი, ზურაბ გომეზაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაშვილი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიაშვილი, რომარტ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამაგრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეფიჩიანი, ზურაბ შვარიპაშვილი, ზურაბ პუგუჩიანი.

საქართველოს კ. ც. -ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, 3. მგ. მდივნის — 93-97-03, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 22. 9. 81. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4. 11. 81. ქაღალდის ფორმატი 60 x 90<sup>1</sup>/<sub>3</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 2420, ტირ. 157 209. ეგზ. უე 04377.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Формат 60 x 90<sup>1</sup>/<sub>3</sub>, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35. Тираж 157 200 экз. Цена 20 коп.






**ქრესპორდი**

თარაზულად: 5. სიმეზიანი სამუსიკო საკრავი; 6. დროშა ანუ?; 8. სხვადასხვა კონსტრუქციის და ყუბის ცეცხლ-სასროლი აარადი; 18. პირბადე; 16. სპორტის სახეობა; 17. დიდი სახეიმი ხასიათის ვოკა-

ლურ-ინსტრუმენტული ნაწარმი; 18. ნადირთა ან ფრინველთა დასაბერი მოწყობილობა; 19. რბილი ხაშხის ქსოვილი; 20. ვულკანიდან ამონთხეული გამწვანარი და გავარვარებული მისა; 21. კვარცხის ქვის გამაღწობის შედეგად მიღებული გამჭვირვალე ნივთიერება; 22. გუნდი, კრებული; 25. ქალაქი რსფსრ-ში; 27. ბოსტნეული მცენარე; 28. ბულგარეთის საკურორტო ქალაქი; 29. მე-19 საუკუნის

ინგლისელი მწერალი; 28. ვესტ-ინდოეთის ერთ-ერთი კუნძული; 25. ბოსტნეული მცენარე; 26. წყლის რევიით მოძრაობით გამოწვეული ამონახუნევი წყლის ზედაპირზე. შემაჯავებელი: 1 სიმეზიანი სამუსიკო საკრავი; 2. ქართული კინოფილმი; 3. ფრანგი კინომსახიობი; 4. ზრდადუშთავრებული ქათამი; 7. გუსი, არხის და მისთანათა მიმართულების ხაზი; 9. უნგრელი კომპოზიტორი; 10. ხშირი, დაბურული ტყე; 11. ქართველი პოეტი; 12. სიტყვებისა და წინადადებების აგებულების შემსწავლელი მეცნიერება; 14. განსაკუთრებული ნიჭი; 15. რაიმე მოქმედებისათვის ხალხის აღმეგრელი მიწეზი; 24. სოფელი ლაგოდეხის რაიონში; 28. სითხის საწოში ერთეული; 30. ევროპის სახელმწიფო; 31. სასწავლო აღმზრდელობითი დაწესებულება; 33. სამი სხვადასხვა საკრავის ან ხმისათვის დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები; 34. ერთი ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელი დიპლომატიური მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი.



2. ქარღვანშიკა, თბილისის 5-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავდე.

**პასუხი №10-ში მითითებულ „სსრკეულზე“**

თარაზულად: 5 მარაო; 6. ამირა; 8. ხალი; 10. არვე; 12. კოგნარი; 18. „დროშა“; 14. ქვაბი; 16. პაი; 17. პიაჩინო; 18. ორი; 28. პლანეტა; 24. ასი; 26.

თავდამი; 27. „ელისო“; 29. იამაიკა; 30. „აბუზარ“; 32. ამური; 33. ტიგროსი; 36. ინა; 37. გლუკოზა; 40. ღია; 48. თეირანი; 45. უფა; 48. არივა; 47. კომში; 48. შავთლი; 49. იონი; 51. ელბა; 52. აგური; 53. ისანი. შევთულად: 1. ჩაი; 2. იაპონია; 3. ამირანი; 4. ერა; 5.

მლაშე; 7. არჩე; 8. ბორი; 9. ანანასი; 11. ერბო; 13. დავლა; 15. ირე; 19. ინდურა; 20. შტრაუზი; 21. საგზალი; 22. აგარაკი; 24. ალამი; 25. ისარა; 27. ოკა; 28. ობი; 31. ძიძია; 32. უნგრეთი; 34. ბზიფი; 38. ბედურა; 39. ინგლისი; 41. ორბი; 42. დღინა; 44. ბოლო; 45. უშა; 50. იგი; 51. ენა.



ფოკუსის შემსრულებელი მყურებელს სათამაშო მტრედს უჩვენებს, შემდეგ მაგიდაზე დებს და ხუფს ახურავს. ხუფს რომ ახლის, მაგიდაზე ცოცხალი მტრედი გამოვლიდება.

ფოკუსის მთელი საიდუმლოება ხუფშია, რომელსაც ნახევარფეროს ფორმა აქვს. მას შიგნით გაუქეთე თხელი ფანების ფარული კედელი, — იგი ხუფს ორ ნაწილად გაყოფს. ერთ ერთ ნაწილს ფსკერი უნდა მქონდეს, სადა ცოცხალი მტრედი უნდა მოთავსო. ხუფის წვერზე ფარულ კედელთან შეერთებული ბურთულაა, თუ მას 180°-ით მოატრიალებ, კედელიც მოტრიალდება. სათამაშო მტრედს ისე დააბურე ხუფი, რომ იგი ცარიელ ნაწილში აღმოჩნდეს. შეუმჩნევლად მოატრიალე ბურთულა. — კედელი ცოცხალ მტრედს უბიძგებს, სათამაშოს კი დაბზულ ნახევარფეროში დამალავს. რომ არ გაფრინდეს, მტრედს ფრთები ძაფით ფრთხილად გაუკარი.

ნახატი პ. ზახაროშისა. იოანი ტეხნიკი. მშობ კიო

**ПО ТУ СТОРОНУ ФОНУСА**



40 52/11

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

